საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია. შაბათი 26 აპრილი 1919 წ. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ერთობა

ფასი 75 კაპ.

ფასი [illegible]: 1 თვით 18 მანეთი [illegible] ცალკე ნომერი 75 კაპ. განცხადებების ფასი, [illegible] სტრიქონი—1 მან. [illegible] განცხადება 25 მან. [illegible] 12 ს. [illegible]

[illegible] ყუთი № 180 [illegible] „ერთობის“ რედაქცია. [illegible] 10—12 საათამდე [illegible] № 24.

ტელეფონი 16—62.

№ 90 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 90

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ეკატერინე კობალაძის ასული, შვილებით: გიორგი, ელენე და ნუცა[illegible], დედა ელისაბედ, ძმები: ესიკ, პეტრე, ლევან და ერმალოზ, რძლები: ანნა, ელენე და ევდოკია კოპლატაძენი, დაი ეკატერინე და სიძე სიო ნიკოლაიშვილი, შვილებით, მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ 23 აპრილს სოფელ ბახვლეთში (გურია) გარდაიცვალა

კირილე ბაგრატის ძე კოპლატაძე

რომლის დაკრძალვა დანიშნულია 27 აპრილს სოფელ ბახვლეთში წმ. გიორგის ეკლესიაში (2—1)

ზე[illegible] მშობლები: [illegible] და [illegible], ძმები: ნიკო, ოლიმპი, და [illegible], და [illegible], ბიძები: [illegible] და [illegible], ბიძაშვილები: [illegible], [illegible], [illegible] და [illegible] ზამბახიძეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ მათთვის ძვირფასის და დაუვიწყარის

ლავრენტი გიგილოს-ძე ზამბახიძის

უდროოდ გარდაცვალებას, რომლის უკანასკნელი გამოთხოვების დღე დანიშნულია დღეს, 26 აპრილს სოფელ შუა ამაღლებაში (გურია).

შაბათს 26 აპრილს, დღის 12 საათზე ს. ჩხენიში დუდის [illegible] ეკლესიაზე გადასახდელი იქნება წირვა და პანაშვიდი [illegible] თავის თავზე

ილია (ილიკო) ლაზარეს ძე მიქაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მწუხარე გულდაწყვეტილი მეუღლე [illegible] ასული, შვილები [illegible] და ქრისტინე, ძმები: [illegible] და [illegible], რძლები: ნინო და ანასტასია.

დამფუძნებელი კრება და პარტიები

დამფუძნებელ კრებაში პარტიათა დამოკიდებულება დიდათ განსხვავდება მათ დამოკიდებულებისაგან წინანდელ საკანონმდებლო დაწესებულებაში—ეროვნულ საბჭოში და პარლამენტში.

ამ უკანასკნელ დროს მთავრობა კოალიციური იყო. მასში მონაწილეობდნენ ს.-დ. გარდა ესერები და ფედერალისტები. მართალია ამ პარტიათა წარმომადგენლობა, როგორც ჩანს, უმთავრესად უპირატესად ხასიათისა იყო, მაგრამ ეს პარტიები მაინც გრძნობდნენ ერთგვარ პასუხისმგებლობას, და თავის აზრსა და მოქმედებაში იცავდნენ არა მარტო ვიწრო ჯგუფურ ინტერესებს, არამედ საერთო დემოკრატიულს და სახელმწიფოებრივს.

დამფუძნებელ კრებაში ეს მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. სოც.-დ. უმრავლესობის გაჩენამ დამფუძნებელ კრებაში, ეს პარტიები მართველობის სავარძელს ჩამოაშორა. და ამის შემდეგ ჩვენ დავინახეთ ახალი სახე ამ პარტიების, მათი უპასუხისმგებლო მოღვაწეობა.

ესერები, მართალია, წინათაც ცდილობდნენ ნორმალურ კალაპოტიდან გადახტომას და თავისუფლად ნავარდს უპასუხისმგებლობის [illegible] სფეროში, მაგრამ ახლა რომ თავისუფლებას აქვნენ, ეს პირდაპირ საარაკოა. მათ თითქოს მოსვენებას არ აძლევს ბოლშევიზმის დაფნის გვირგვინი და ისეთ დებულებებით გამოდიან, რომელიც მათ პირში პირდაპირ სასაცილო ხასიათს იღებს. უფრო მეტი მათი გამოსვლა, ეს თავშეუკავებელი წინასწარმეტყველება პირზე მოსულ პირველი მაგარი სიტყვის, და მათ გონიათ, რომ ხალხი ამ ფრაზათა უხვ გროვით მოიხიბლება. ამ მხრივ მათ მხარს უმშვენებენ სოც.-ფედერალისტები. ამ თარმა არსებითად წვრილ ბურჟუაზიულმა და მეშჩანურმა ჯგუფმა წარმოიდგინა, რომ იგინი მემარცხენეზე მემარცხენენი არიან, და ამ თვის შუქდღესასწაულის დასამტკიცებლად ყოველ ფეხის გადადგმაზე აყენებენ საკითხს, ექსპროპრიაციისა, ჩამორთმევისა, წართმევისა და სხვ. ასეთი ბოლშევიკური ზომების შესახებ.

ს.-ფედერალისტები, რომელთა ნაციონალიზმი ცნობილია, დღეს თვით გეგონებიან ანარქიის წინამძღოლებიც კი ეგონებიან.

ერთი სიტყვით, ოპოზიციაში ჩადგომის შემდეგ მათ დაამტკიცეს, რომ ყოველივე ის, რასაც გუშინ სჩადიოდნენ, ის იყო შედეგი ძალით მინისტრის სავარძელში ჯდომისა და არა მათი ნააზრევი და ნაფიქრები. რასაც დღეს სჩადიან, ეს არის სავარძლის დაკარგვით გამოწვეული გულისტკივილის ნაყოფი და არა მოფიქრებისა და სერიოზული მსჯელობის.

ასეთ ოპოზიციონერობას, თავის მემარცხენე სურვილების მემარცხენეთა ფრაზეოლოგიაში გასვლას ჩვენ დიდი ხანია შევეჩვიეთ, მაგრამ თუ იგი ასეთ აშკარა, დიდ ხასიათს მიიღებდა, როგორც ეს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო, ეს კი არ გვეგონა.

ყოველ შემთხვევაში ფაქტია: ს.-დემოკრატიას დამფუძნებელ კრებაში საქმე აქვს ისეთ მემარცხენე ოპოზიციასთან, რომელიც მხოლოდ ფიქრობს ბოლშევიზმის უბადრუკი და უწინ წაბაძვით ხალხის თანაგრძნობას მოიპოვებს.

სამწუხაროდ ასეთია სწორედ და უფრო ჯერ ოპოზიციის ყოფა. მემარცხენეობის ლიდს ასეთ იგი მთელს დამფ. კრებას მოედო და მუშაობას, მაგრამ... იგი მაინც ფაქტია, რომლის გადასხვაფერება ჩვენ არ შეგვიძლია.

მემარჯვენე ოპოზიცია, ესე იგი, ოპოზიცია ეროვნულ-დემოკრატების, უმთავრესად იზიარებს დემოკრატიზმის საფუძველს, მაგრამ უმთავრესად იგი მაინც ნაციონალისტური სარჩულით ხელმძღვანელობს. ამით მას უფრო გარკვეული სახე აქვს, თუმცა სახე მკრთალი—თითქმის უფერო და სუსტი. საზოგადოდ ოპოზიციონერობას და გადაჭარბებული სიმრავლე სოც.-დემ. პარტიისა, თითქოს ყოველგვარ ენერგიას უკარგავს ამ ოპოზიციის ორატორთ, ისინი უსუსურად ეკიდებიან საქმეს და ამით დამფუძნებელ კრებას არ აძლევენ მეტად აზრთა შეჯახებას, აზრთა ბრძოლას, შეხედულებათა სხვადასხვაობას. სუსტი ოპოზიცია ქმნის დამფ. კრების ერთფეროვნებას, მის მონოტონურ ხასიათს.

მაგრამ ეს რასაკვირველია, ვერ გაამრუდებს, ვერც შეაფერხებს მის შემოქმედებითს მუშაობას. უფრო ნაკლების რაზმის ნაკლების ბრძოლით და შეჯახებით იქნება შესრულებული ის საქმეები, რომელსაც ელის მხარე თავის წარმომადგენლებისაგან.

ნელი და წყნარი იქნება მუშაობა დამფუძნებელი კრების, მაგრამ ეს არ შეამცირებს მის ნაყოფიერებას. ხალხის სახელით შესძლებენ შექმნან ნამდვილი რეალური ნაკლები დემოკრატიული წყობილების უზრუნველმყოფი და მისცენ ქვეყანას შეურყეველი კონსტიტუცია, რომელიც უზრუნველყოფს მის შემდგომ განვითარებას სოციალიზმისაკენ.

ამხ. ჩხეიძე და წერეთელი

საფრ. დეპ. პალატის სოც. ფრაქციაში

საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ორგანო „ჰუმანიტე“ (18 მარტის თარიღით) შემდეგს სწერს:

„პარლამენტის სოციალისტურმა ფრაქციამ გუშინ ნახა მიიღო ჩხეიძე და წერეთელი, საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლები.

უპასუხებენ რა სიტყვას, რომელიც მათ მიესალმა ჯგუფის სახელით, ჩხეიძე და წერეთელი აღნიშნავენ, რომ ისინი მიმართავენ დიდი საფრანგეთის პროლეტარიატის წარმომადგენლებს და იმედი აქვთ, რომ საფრანგეთის სოციალისტები მხარს დაუჭერენ საქართველოს რესპუბლიკის მოთხოვნილებებს, რომლებიც დამყარებულია ხალხთა თვითგამორკვევის დემოკრატიულ პრინციპებზე.

ამხანაგები აძლევენ ქართველ დელეგატებს მთელ რიგ კითხვებს.

მეიერასი ეკითხება მათ: აზრათ აქვთ თუ არა ქართველებს, რომლებიც ითხოვენ ჩვენ მიერ მხარის დაჭერას, დაეხმარონ ჩვენ საბჭოთა რესპუბლიკას დაცვაში?

კაშენს სურს გაიგოს აზრი ჩხეიძისა და წერეთლისა, ლენინისა და ტროცკის შესახებ.

თუმურე ეკითხება—რას ფიქრობენ ისინი ბოლშევიკების მეთოდების შესახებ.

ვალიანტი ეკითხება—მიემხრობიან თუ არა თავიანთ რუს ამხანაგებს გარეშე ძალის ჩარევის საწინააღმდეგო ბრძოლაში.

ბარტე ეკითხება—რა აზრისა არიან ისინი საბჭოების ორგანიზაციის შესახებ.

წერეთელი უპასუხებს ყველა შეკითხვებზე. ის უარყოფს ბოლშევიკებს არა იმდენად ტერორის რეჟიმის გამოყენების, რომელიც მათ დაამყარეს, არამედ იმ მეთოდების შერჩევის, რომლითაც, მისი აზრით, არ შეიძლება რუსეთის მდგომარეობა. ის აღნიშნავს, რომ ბოლშევიზმი ეყრდნობა ხალხის სალდათებს. ამგვარად, ამბობს წერეთელი, ჩვენ არ ვეთანხმებით ბოლშევიკებს მაგრამ ჩვენ ვართ წინააღმდეგნი იმის, რომ გარეშე ძალებმა ხელი შეუშალონ საბჭოთა რესპუბლიკის განვითარებაში.

მეიერასი ეკითხება: თუ ანტანტის მთავრობები მოინდომებენ გამოიყენონ ან სამხედრო მიზნებისათვის საქართველოზე დაყრდნობას გაუწევთ თუ არა წინააღმდეგობას ანტანტის მთავრობების მოქმედებას?

ჩვენ არ გვსურს ჩავერიოთ რუსეთის საქმეებში,—უპასუხებს წერეთელი,—მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ძალა შევეჩიროთ ანტანტას.

მეიერასის ახალ შეკითხვაზე ჩხეიძე უპასუხებს, რომ ის არ გამიზიარებია ბერლინში ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ჩამოგდების შემდეგ, როგორც ამას ამტკიცებდნენ.

უბრუნდება რა საქართველოს კითხვას, წერეთელი აცნობს, თუ როგორი გატარდა იქ მიწის საკითხი, როგორ დაუნაწილდათ გლეხებს კერძო საკუთრებად მიწები სულზე 7 დესეტინა (აქ ალბად შეცდომაა წერეთლის ნალაპარაკევის გადმოცემაში გაზეთის თანამშრომლის მიერ. მთარგმნელის შენიშვნა). ის ლაპარაკობს დამფუძნებელი კრების შესახებ, საბჭოების კონტროლის შესახებ, რომლებიც არჩეულია მთელი მუშათა კლასის მიერ, მაგრამ ის სტოვებს უპასუხოდ კაშენის კითხვას, რომელსაც ჰკითხა მას, მის საფრანგეთში ჩამოსვლის დროიდან ხომ არა ჰქონდა ადგილი ცდას, რომ ემოქმედნათ მასზე გენერალ დენიკინის მოძრაობის სასარგებლოდ.

ანარქია სომხეთში

ამ სათაურით ერევნის „ჟოღოვურდ“-ში (ხალხი), დაბეჭდილია შემდეგი:

„სომხეთის რესპუბლიკაში ხალხი ანარქიაში გახვეულა.

„ძარცვავენ ხალხს დღე ღამით ყაჩაღები და ქურდები, ძარცვავენ და გლეჯენ აგრეთვე მოხელენი.

„არ არის გარანტია არც პიროვნებისა, არც ქონებისა; ქრონიკულ მდგომარეობით გადაქცეულა ძალადობა, როგორც პიროვნების, ისე ქონების წინააღმდეგ.

„როცა ხედავენ ხალხის ნაძირალნი, რომ მათ არ სდევნიან და არც სჯიან, თავს გადიან და უფრო შეუპოვრად განაგრძობენ თავიანთ „გმირობას“.

„შეიარაღებით განსაკუთრებული ყაჩაღი და ქურდთა ჯგუფები და ურთიერთ შეთანხმებით, როგორც მოწყობილი ერთი ორგანიზაციის ქსელი, ჩვეულებრივ თავიანთ რაიონში თავისუფლად დადიან და ერთმანეთს არ დაუშლიან. სომხეთის ქალაქები, ქალაქები, სოფლები გაძარცული შეიქმნენ.

„კანონიერ ძალაუფლებასთან ერთად არსებობს დამნაშავეთა ძალაუფლება. დაბალი მილიციონერები ამ მეორე ძალასთან უფრო მჭიდროთ არიან დაკავშირებულნი, ვიდრე კანონიერ მთავრობასთან; ბევრი ბოროტმოქმედობა ხდება მათი მონაწილეობით. საკმარისია კაცმა გაიგოს ერევნის თათრების ჩივილი „ღამის რაინდების გმირობისა“, რომ შეძრწუნდეს.

„არ არის არც ერთი ოლქი, სადაც მცხოვრებნი თავს უზრუნველყოფილად იგრძნობდნენ. იშვიათია შემთხვევები, რომ ყაჩაღები დაეპატრონენ. ყაჩაღების რიცხვში არიან რამდენიმე წარჩინებული ხმალშა[illegible] კი.

„ყაჩაღობა და ფულების გატაცება დღითაც მოსჩანს, ისე არა მარტო მიყრუებულ კუთხეებში, არამედ—თვით ერევანში; მის ცენტრალურ უბნებში.

„ასეთ თავდასხმის დროს მკვლელობაც კი მოხდება. იცნობენ ამ გვარ ჯგუფებს, იცნობენ მათ მეთაურებსაც, მაგრამ არ სდევნიან მათ. დანაშაულის ბოროტმოქმედნი შემდეგ თავისუფლად დასეირნობენ ქალაქის ბაღში და პარლამენტის სხდომას დღესაც ესწრებიან შიგ და ისმენენ, თუ როგორ „აღმაფრენით“ „აღნიშნულ სიტყვებს“ ამბობენ მაღალ პრინციპებზე, პოლიტიკურ იდეალებზე, სამოქალაქო უფლებებზე.

„ამ სენთან შებრძოლება უნდა ეყოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მთელი თავისი ძალებით. მარტო ამ სამინისტროს აქვს საშუალებანი ბოროტება ძირიანად აღმოფხვრას. უმისოდ მართლმსაჯულება ვერ შესძლებს არსებობის თავისი მოვალეობა.

„შინაგან სამინისტროს მოხელეთა უმეტესი ნაწილი არ შეეფერება თავიანთ მოწოდებას, მათში ძალიან ბევრია ისეთები, რომლებიც ცნობილი არიან თავიანთ ბნელი წარსულით.

„საჭიროა საერთო კონტროლის და ხელმძღვანელობისათვის მოიწვიონ ადმინისტრატიულ საქმეებში გამოცდილი და ენერგიული მოხელენი; წინააღმდეგ შემთხვევაში ანარქია უფრო გაძლიერდება, ხალხს იმედი გადაუწყდება ახალ დემოკრატიულ წყობილებაზე და მთავრობაც დაჰკარგავს მის თვალში ავტორიტეტს. შესაძლებელი არ არის ამ მდგომარეობის შერიგება.

„ყველა საშუალებანი უნდა იხმარონ წესიერების განსამტკიცებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში კატასტროფა აუცილებელია“.

რევიზიის შედეგი

თბილისის პირველი სახურ. მაღაზია.

მთავრობის მიერ დანიშნულმა სარევიზიო კომისიამ მოახდინა რა რევიზია თბილისის საერობათო მთავარ პირველ მაღაზიისა, შემდეგი ბოროტ-მოქმედებანი აღმოაჩინა: შემოსავალ გასავლის წიგნები ისე უწესრიგოდ, რომ შეუძლებელია მაღაზიის საქონლის რაოდენობის გამოკვლევა რა და რა დროს რამდენი საქონელი შემოვიდა ან გაქონდათ, წიგნებში სრულიადაც არ არის აღნიშნული. შემოსავლის წიგნებში არ შეჰქონდათ არა მარტო ისეთი საქონელი, რომელიც მაღაზიაში თითო ყუთობით შემოდიოდა, არამედ სრულიადაც არ არის ნაჩვენები წიგნებში მაღაზიის მიერ მიღებული 1767 ფუთი სპილენძი, 8 692 ფუთი ხორბალი, 1017 ფუთი ქერი. ზოგიერთი საქონლის რაოდენობა, მართალია, შეტანილია წიგნებში, მაგრამ სწორედ არ არის ნაჩვენები, მაგალითად, ქონი უნდა ყოფილიყო 1 იანვრისათვის 703 ფუთი და 25 გირ. წიგნებში კი ნაჩვენებია მხოლოდ 40 ფუთი და 8 გირვანქა. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთი საქონელი მეტი გატანილია მაღაზიიდან, ვიდრე ეს შემოსავლის წიგნებშია ნაჩვენები.

პირველ იანვრის სიყვაში ყოფილა 213 ფუთი და 24 გირ. ჩაი, გაიტანეს 216 ფ. და 2 გირ. ე. ი. 2 ფუთი და 18 გირვანქით მეტი. ეს ამტკიცებს, რომ შემოსულ საქონლის რაოდენობა არ არის ნაჩვენები სწორედ, თორემ შეუძლებელი იყო ზედმეტი საქონლის გატანა, ვიდრე ეს მაღაზიაში იყო.

მაღაზიას ჰქონია საკუთარი პურის საცხობი. 23 დეკემბრიდან პირველ აპრილამდე მაღაზიაში შემოსულა 12,724 ფუთი და 9 გირ. პური. დაუხარჯნიათ 11,158 ფუთი და 5 გირ. არ არის ნაჩვენები წიგნებში სად გაქრა 1571 ფუთი და 4 გირ. პური. შემოსავალ გასავლის წიგნი ყოველ დღე უნდა შეემოწმებინა მაღაზიის ზედამხედველს გამცემელს, რაც მას სახურუვეში არ მოუყვანია. ამ საქმეთა მაღაზიის რევიზია მოახდინა წინათ გენერალ მაჟიტრიანის კომისიამ და უნდა აღინიშნოს, რომ ეს რევიზია სრულიად უაზრო გამოდგა. ამ კომისიას სრულიად არ მიუქცევია სათანადო ყურადღება მაღაზიის ქაოტიური მდგომარეობისათვის. ამ კომისიის მუშაობა მხოლოდ იმაში გამოიხატა, რომ ისეთი საქონელი, რომელიც დღეს ბაზარზე ცოტა მოიძებნება მაგალითად შაქარი, ერბო და სხვა, ძლიერ იაფ ფასებში გაუყიდნიათ, აღსანიშნავია, რომ საქონელი იყიდებოდა არა საჯარო ვაჭრობით, არამედ—ძლიერ სხვადასხვა დაწესებულებებს და აზრადაც კერძო პირებიც ყიდულობდნენ საქონელს ამ მაღაზიიდან.

კომისიამ შეადგინა ოქმი და თავის დასკვნით წარუდგინა სამხედრო მინისტრს. კომისია ითხოვს სამხედრო მინისტრს გადაყენებულ იქნას სამსახურიდან მაღაზიის ზედამხედველი გამცემელი და აგრეთვე გადაეცეს მისი საქმე სასამართლოს. კომისია მოითხოვს, რომ დაუყოვნებლივ შესდგეს კომისია, რომელიც გამოიკვლევს მაღაზიის საქონლის რაოდენობას, თუ აღმოჩნდება რომ საქონელი აკლია საწყობს, მისი ღირებულება გადაახდევინონ დამნაშავე პირთ. კომისია მოითხოვს, რომ შენიშვნა გამოეცხადოს გენერალ მაჟაურიანს და მის კომისიის წევრებს, რომელთაც საქმისადმი დაუდევრობა გამოიჩინეს.

სამუსლიმანო საქართველოს საკითხი

ჩვენმა ჯარმა არტაანი აიღო. საქართველოს ძველი ციხე-სიმაგრე, რომელიც მას [illegible] დაახლოებით, მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ოსმალთა ბატონობის შემდეგ, კვლავ საქართველოს ჯარმა დაიკავა.

ხდება საქმით. გაერთიანება გაერთიანება ტერიტორიალური. ის, რაც ჩვენ ხალხს ისტორიულად ეკუთვნოდა და გარეშე მტერმა ხმლით ჩამოგლიჯა, დღეს კვლავ ხმლითვე გვიბრუნდება, დამარცხებული მტერი გარბის და ჩვენს წინაშე იშლება ფართო პერსპექტივები საქართველოს სრული გაერთიანებისა.

არც ერთი კითხვა, ისე მწვავე არ არის ჩვენთვის, როგორც სამუსლიმანო საქართველოს საკითხი. აქ წინ გვიდგება ბნელი ოსმალეთის დესპოტიზმის მძიმე უღელი, მონობა თავის ძველ ფორმებით, ხალხი მოკლებულია შინაურ ძალთა ერთობას და შეგნებას, მისი ენერგია არ ხმარდება თვით ამ ხალხისვე ინტერესების დაცვას, ის პასიური ელემენტია და საერთო სახელმწიფოებრივი ცხოვრების ამოძრავებაში ნაკლებათ ეწყობა.

სწორედ ეს გარემოება ართულებს ჩვენთვის სამუსლიმანო საქართველოს საკითხს. ტერიტორიალური გაერთიანებას არ სდევს თან იდეიური გაერთიანება, ჩვენ ვერ ვამჩნევთ ამ ხალხის ძალთა ამოძრავებას, რომელიც საქართველოს საერთო ძალებთან ერთად უნდა მოემსახუროს განთავისუფლებისათვის. ამ მხრით ჩვენ და სამუსლიმანო საქართველო არ ხვდისხვა ქვეყანას წარმოვადგენთ. იქ ფეოდალიზმი თავის ძველ ფორმებით ჯერ კიდევ ძალაშია, ბეგი სრული მფლობელია ფეოდ გლეხის, რომელსაც წარმოდგენაც არ აქვს თუ შეიძლება მიწით სარგებლობა ბატონობის დახსნა და ბეგების ხელიდან მიხსნა. არც წარსული წლების მოძრაობა და არც ეპიდემიური რევოლუცია არ შეხებია ამას. საქართველოს ამ კუთხეს ძველ წესებს, არ დაუნგრევია მისი რეაქცია და არ განუდევნია ფეოდალები, რომლებიც დღესაც უმწყემსებენ თავის თავს ამა თუ იმ ხანჯალს, ან ყურანის მფლობელნი.

უფრო საფრთხე სამუსლიმანო საქართველოში არის ძველი წესები და ფეოდალიზმი. სანამ ის არ დაინგრევა, სანამ არ აამოძრავებს თვით მუსლიმან მშრომელ გლეხკაცობის შინაური ენერგია და არ გაიღვიძებს ეს ხალხი თავისივე ცხოვრების მოსაწყობად, მანამ სამუსლიმანო საქართველო მუდამ საფრთხე იქნება, ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეებიდან მისული ძალა ვერ შესძლებს ცხოვრების გარდაქმნას, ის მხოლოდ მის ზედაპირს თუ შეეხება, თორემ თვით სიღრმე ამ მხარეთისა სრულიად ხელუხლებელი დარჩება.

მიუხედავად ყველა ამისა, ჩვენ მაინც უნდა გადავჭრათ ეს მძიმე კითხვა. საქართველო ვერ შეურიგდება ამ კუთხეში ვერც ოსმალეთის თარეშს და მით უმეტეს ვერც მის წაგლეჯს ძალების მუშაობას. ჩვენ ჯერაც არ გვაქვს, სამწუხაროდ, ერთი სახე გამომუშავებული სამუსლიმანო საქართველოსათვის. ჩვენი მუშაობა როგორც ბათუმის ოლქში, ისე ახალციხეში დღემდე დაურკვეველი მერყეობა იყო.

მიზანი ერთია—გაერთიანება საქართველოსი, ერთ ოჯახში თავის მოყრა სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველოსთვის. მაგრამ ამ მიზნის მისაღწევათ სხვა და სხვა გზებს მივყვებით. ვერ ვცდილობთ ვერც ბეგებს, ვინაიდან ვშიშობთ ვაი თუ საზოგადო მოწინააღმდეგეთა მხარეზე გადავიხვრა და ვერ ვეყრდნობით სრულიად მასას, ვინაიდან არ ვართ დარწმუნებული მის შინაურ ძალთა ძლიერებაში და ამოძრავებაში.

ერთი სიტყვით, ერთ გზა ჯერ ვერ ვპოვეთ, და ისედაც რთული საკითხი კიდევ უფრო რთულდება.

ვინც იცნობს სამუსლიმანო საქართველოს, ვისაც უმუშავნია მის მშრომელ ნაწილში, ის დაეთანხმება, რომ მერყეობა დამღუპველია საქმის. დემოკრატიას არ შეუძლია დაეყრდნოს სხვა ძალას, გარდა მშრომელი ხალხის ძალისა, ის ვერასოდეს ვერ შეუთანხმებს თავის პოლიტიკურ მიზნებს და იდეალებს მოქმედებას, რომელთაც თავისი თავისთვის მუდამ სხვა მიზნები აქვთ და მხოლოდ ოსმალეთზე იცქირებიან.

მართალია, სამუსლიმანო საქართველოში გვაქვს საქმე ნახევრად გლეხკაცობასთან, რომელიც დღემდე სრული მონა იყო ბეგის, მართალია აქ ადვილი არ ქმნება თვით ჩანასახსაც კი ქალაქის მუშების, მაგრამ რომ ამ გზაზე შესდგეს ეს მხარე, საჭიროა ძველი ურთიერთობის დანგრევა, ერთგვარი რევოლუციის მოხდენა, რომ მოიშალოს დახავსებული ორგანიზმი ბატონყმობისა და გზა გაეხსნას ბრძოლას, რაც ფართოთაც არ უნდა სწარმოვებდეს ის. ამისთვისაც არის საჭირო გარკვეული სახე, დამყარებული ყველა მშრომელ ძალებთან და განცალკევება რეაქციონერ ბეგობისა.

არტაანის შემოერთებით, ბათუმის კითხვის გადაჭრაც ახლოვდება. ადრე თუ გვიან ის საქართველოს დაუბრუნდება და ასე ტერიტორიალურად მთელი საქართველო ერთ მთლიან სხეულს შეადგენს, ის ერთ ოჯახათ გადაიქცევა. მაგრამ ამ შემთხვევაშიაც არ მოხდება იდეიური გაერთიანება, პირიქით ამ მხრით საქმე კიდევ უფრო რთულდება [illegible] გამოისახება და ჩვენ [illegible] ვერ დავდებთ საუკუნეების განმავლობაში დაჩენილ იარებს და წყლულებს.

საჭიროა აქტიური მუშაობა, საჭიროა გარკვეული სახის აღება და ასე ამ ხალხის შინაური ძალების ამოძრავების აუცილებლობა.

სამუსლიმანო საქართველოს სახალხო მშრომელობის საკითხი ჩვენთვის მთავრდება დღეს. ჯერ ის არავის არ შეუწუხებია ამ მხარეში, საჭიროა მისი მოხედნილობა, სოციალისტური დაწყება, თვით ხალხის ხელში აიღება, რომ მოხდეს შინაური [illegible] არ გადაქცეს. ნუ შეგვეშინდება, რომ სამუსლიმანო საქართველოს ხალხებათ ჰყავს ინტელიგენტური ძალები, არ მოიპოვება ამ მხარეში აქტიური მოქმედი ძალები. პირიქით, აქ [illegible] ხალხის მშრომელობაში ჩავებათ თვით ნაკლებათ მომზადებული ხალხი, მაინც ხელით დაუკავშირდებათ არსებული ურთიერთობა; ეს კი შექმნის მოძრაობის აქტიურ ძალას, და ასე ტერიტორიალური მთლიანობასთან ერთად, მივიღებთ იდეიურ ერთობასაც. მაშინ ჩვენ მშვიდობა არ იქნება საქმეებში და მისული ძალაც საჭირო არ იქნება.

რამდენათ იზრდება ტერიტორიალურათ ჩვენი გავლენა სამუსლიმანო საქართველოში, იმდენათ მწვავდება საქმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს

ინგლისელი ექიმის მკვლელებს სამხედრო სასამართლომ მიუსაჯა სამს სიკვდილით დასჯა, ორს კატორღა — ერთს — 20, მეორეს — 12 წლით.

ოსმალეთის მეცხრე არმიის სარდალი ნამყოფი შევქეთ ფაშა ინგლისის სარდლობის განკარგულებით დაპატიმრებულ იქნა და გაიგზავნა სტამბოლში, სადაც მას გაასამართლებენ.

უნგრეთში მდგომარეობა მწვავდება. რუმინიის ჯარი უნგრეთის ტერიტორიაზე შეიჭრა. ჩეხო-სლოვაკების ჯარებმაც სადემარკაციო ხაზი გადალახეს და ბუდაპეშტისაკენ მიიწევენ.

ბრემენში გაფიცვები გრძელდება. გაფიცულებს მიემხრნენ გაზის ქარხნების მუშებიც.

ეს საკითხი ჩვენთვის, მანამ, სანამ არ გამოვნახავთ ამ ხალხში საიმედო ძალას, რომელიც ჩვენთან ერთად ხელშეუხებლად დაიცავს გაერთიანებულ დემოკრატიულ საქართველოს, ვინაიდან ის იქნება მისი თავისუფლების და ინტერესების დამცველი.

და აი, დღეს, როცა არტაანში შევედით და ბათუმს ორი მხრიდან შემოვერტყით, როცა შორს არ არის დღე სამუსლიმანო საქართველოს სრულიად განთავისუფლებისა, ჩვენ ერთი ხელით თუ ხმალი გვეპყრა საზღვრების გასამაგრებლად, მეორე ხელი მაგრად უნდა ჩავკიდოთ მშრომელ მუსლიმან გლეხ-კაცობას, ჩავაბათ ის თავისივე ქვეყნის მუშაობაში, რომ მისივე ხელით გაიკაფოს გზა და ასე სახალხო მმართველობა ნამდვილ სახალხო მმართველობად იქცეს. ეს გზაა საქართველოს დემოკრატიის გზა და ამ გზას ვერ აცდება ვერც სამუსლიმანო საქართველო.

ახალციხელი.

ერობის წვრილი ერთეული ჩვენში

ჩვენი სამაზრო ერობების მუშაობაში სხვათა შორის ერთი დიდი ნაკლია. ეს გახლავთ სეპარატიული გადაწყვეტილება და ცხოვრებაში გაყვანა ზოგიერთი კითხვებისა, რაც რესპუბლიკის ინტერესების და თვით ამ კითხვების გატარების გასაადვილებლად, ერთნაირათ უნდა წყდებოდეს ყველა მაზრაში, ერთი საერთო სისტემა უნდა იყოს მთელ რესპუბლიკაში. ერთი ასეთი კითხვათაგანია ერობის წვრილი ერთეულები.

სამაზრო ერობის შემოღებისთანავე დღიურ კითხვათ დაისვა წვრილი ერთეულების შემოღება. საჭირო იყო ერობების ყრილობას გამოემუშავებინა ტიპი წვრილი ერთეულისა და ეს საყოველთაოდ ყოფილიყო რესპუბლიკაში, მაგრამ ეს ასე არ მოხდა და ყველა მაზრამ ეს სეპარატიულათ გადაწყვიტა. შედეგათ ჩვენ პატარა რესპუბლიკაში რამდენიმე სხვა და სხვა ტიპი გვაქვს, რომელთაგან ზოგი მხოლოდ სახელით არის წვრილი ერთეული, ხოლო ცხოვრებაში მისი გატარება დაამტკიცებს, რომ ამეთ „წვრილ ერთეულებს" თავის წვრილი ერთეული დასჭირდება თავის ტერიტორიაზე მ. ი. გადაიქცევა ის რაიონულ ერობად. მაგალითად, ზოგ მაზრას წვრილ ერთეულში მოუქცევია სოფლის რამდენიმე საზოგადოება და ხშირათ ისეთი საზოგადოებები, რომლებიც ადრე თვით თხოულობდენ არ საზოგადოებათ გაყოფას, რადგან კანცელარია ძალიან შორს გვქონია, ჩიოდენ ზოგი სოფლები. მიახლოვების მაგიერ ეხლა ეს კანცელარია კიდევ შორს გასწევს. ეს კი იმავე ჩივილს გაადიდებს და ერობას აიძულებს ძველი კანცელარიები ამა თუ იმ სახით აღადგინონ.

ამის თავიდან ასაცილებლად და იმისთვისაც, რომ წვრილი ერთეული მართლა ხალხთან იყოს და ხალხი მით ადვილათ სარგებლობდეს, რომ ის მართლა მართვის „იჩეიკა" იყოს რესპუბლიკის, საჭიროა წვრილი ერთეულების საფუძვლათ ავიღოთ ყოფილი საზოგადოებები, სადაც შესაძლებელია შევამოკლოთ მათი რიცხვი, მაგრამ სადაც ამის ნებას არ გვაძლევს მთაგორიან ადგილებში დაფანტული ჩვენი სოფლების მდებარეობა, იქ ნუ შევეხებით მის შედარებით სიპატარავეს.

საერთოდ წვრილი ერთეულების მცხოვრებთა რიცხვით სიმცირე ზოგს აშინებს იმით, რომ ხარჯებს ვერ შესძლებენ, მაგრამ ბოლოს და ბოლოს სახეში უნდა ვიქონიოთ მხოლოდ კანცელარია—გამგეობა, ყველა სხვა ხარჯები მცხოვრებთ ერთნაირათ დაეკისრება ორივე შემთხვევაში: თუ ერთეულში შედის 12 სოფელი,—სკოლა 12 დაეპირდება, ხოლო თუ 6 სოფელი,—მაშინ მარტო 6 სკოლა; გზებიც უფრო გძელი იქნება და ერთნაირად დაუჯდება და სხვა. რაც შეეხება გამგეობის შენახვას, ეს შეიძლება გავამარტივოთ და გავაიაფოთ: შეგვიძლია მუდმივ ჯამაგირზე მოვიწვიოთ მარტო თავმჯდომარე, ხოლო წევრებს დავუნიშნოთ სადღეღამიო და მგზავრობის ჯილდო. საქმის მწარმოებელი ერთი იკმარებს კომისარისა და გამგეობისთვის, რომელიც ეხლაც არსებობს კომისართან და სხვა.

საჭიროა ეს კითხვა დაისვას მომავალ ერობების ყრილობაზე (29 აპრილს) და გადაიჭრას დადებითად.

ზ. დათიაშვილი.

უკანასკნელი ცნობები

თბილისი, აპრ. 25. ინგლისის მისია იუწყება: კავკასიის ფრონტზე ოსმალეთის მე 9 არმიის სარდალი ნამყოფი შევქეთ-ფაშა ოსმალეთის მთავრობამ გადააყენა და ბრიტანიის მთავრობის ბრძანებით დააპატიმრეს და ტრაპიზონიდან სტამბოლში გაგზავნეს, სადაც ის 27 აპრილს უნდა მივიდეს. ეჭვი არაა, რომ ის სასამართლოს წინაშე პასუხს აგებს ყველა იმ დანაშაულისთვის, რომელიც მან და მისი არმიის ჯარისკაცებმა ჩაიდინეს კავკასიაში.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

26 აპრილი

ფრანგული პრესის ცნობები.

პარიზიდან იუწყებიან, რომ გერმანიის დელეგატებს მოელიან აპრილის 28. ამათ ექნებათ სათანადო რწმუნებანი. დელეგაციაში სხვათა შორის შედიან საგარეო საქმეთა მინისტრი ბროკდორფ-რანცაუ, იუსტიციის მინისტრი ლანდსბერგი, ფოსტის მინისტრი გისბერტი და პრუსიის ეროვნულ ყრილობის თავმჯდომარე ლეინერტი.

ინგლისის პრესის ცნობები.

ბუდაპეშტში კვირას მთელი კუნის თანადასწრებით გამართა უმუშევართა მრავალრიცხოვანი მიტინგები. სწარმოებს ყველა სასამართლოების რეორგანიზაცია: იქნება სასოფლო, საქალაქო და საოლქო სასამართლოები და აგრეთვე რევოლუციონური ტრიბუნალი პოლიტიკური საქმეების გასარჩევათ, დანარჩენი სასამართლოები სისხლის საქმეებს გაარჩევენ; თვითეული მათგანი 3 მუშისაგან უნდა შესდგებოდეს.

როიტერის სააგენტო იუწყება, რომ დღეს დილით სამხედრო წესები გამოცხადდა... (გაურკვეველი) დამატებითი ცნობების თანახმათ სამოქალაქო ადმინისტრაცია და მოხელეები განაგრძობენ თავის მოვალეობის ასრულებას. ამას წინათ კი იუწყებოდნენ, რომ მოხელეებმა მუშაობა სრულიად შესწყვიტეს. არსებულ პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტის და დიდი ბრიტანიის პროტექტორატის უარისყოფის ნიშნათ მოხელეებმა მუშაობა არ განაახლეს. [illegible] გამოაცხადა, რომ ყველა ის მოხელენი, რომლებიც სამსახურს არ შეუდგებიან, ომის დროის კანონის ძალით დაისჯებიან და ყველა ის, ვინც ხელს შეუწყობს მოძრაობას, ან მუქარით და ძალით ნებას არ აძლევს მოხელეებს მუშაობა განაახლონ, სასტიკათ დაისჯებიან, რადგან ყველა მოხელენი, რომლებმაც ნებაყოფლობით შესწყვიტეს მუშაობა, დაუყოვნებლივ უნდა დაუბრუნდნენ თავის საქმეს. ის მოხელენი, რომლებიც ამ განცხადების გამოქვეყნების მეორე დღეს არ დაუბრუნდებიან, სამსახურიდან გასულათ ჩაითვლებიან.

ბოლშევიკების ცნობები.

მოსკოვი, აპრ. 24. სამხედრო ცნობა. ოლონეცის მიმართულებით მოწინააღმდეგემ შეტევა დაიწყო. მარიენბურგის მიმართულებით მოწინააღმდეგემ წითელი ჯარი შეავიწროვა. სადგურის ჩრდილო დასავლეთით ლატვიაში წითელმა ჯარმა ერთი სოფელი დაიჭირა მიტავის რაიონში. მიტავის სამხრეთ აღმოსავლეთით მოწინააღმდეგემ შეტევა დაიწყო და ლატვიაში წითელი ჯარი შეავიწროვა. სამარა, აპრ. 23. ცნობა მოვიდა რომ ორენბ. მიმართულებით მოწინავე ბრძოლის შემდეგ ჩვენ წავართვით 170 შეიარაღებული კაცი, 3 ტყვიისმფრქვეველი. ბუგურუსლანის რაიონში გაძლიერდა ჩვენს ჯარებზე სახალხო არმიელთა გადმოსვლა. ნოვგოროდი. აპრ. 23. ნოვგოროდის საგუბერნიო კომიტეტი რ. კ. პარტიის საბჭოს და გუბერნიის პროფესიონალურ კავშირების შეერთებულ სხდომაზე დაადგინეს მოახდინონ მუშების ცხრა პროც. მობილიზაცია აღმ. სამხედრო ფრონტის დასაცავად. იზიუმი, აპრ. 18. ლიტვის(?) რაიონში ჩვენ დაგვნებდა რუსთა ლეგიონის ბატალიონი, რომელიც საფრანგეთში მოქმედებდა. ლეგიონი 1000 კაცამდე მოტყუებულებით ოსმალეთში გადაიტყვეს და ნოვოროსიისკში მოიყვანეს, ნაწილი გაგზავნეს პოზიციაზე. ეს ნაწილი პირველ ბრძოლაშივე დაგვნებდა. სიმფეროპოლი აპრ. 23 მოკავშირეებმა სევასტოპოლის ევაკუაცია დაიწყეს. დაარსდა სევასტოპოლის რევოლუციონური კომიტეტი. მოხდა ფლოტის ნაციონალიზაცია. არსდება რევოლუციონური რაზმები. მზადდება საბჭოს არჩევნები. რევოლუციონური კომიტეტის მოთხოვნით საფრანგეთის სარდლობამ ორი სასტუმრო დაიცალა, შესდგა კომისია, რომელიც გამოარკვევს საბერძნეთის ჯარის მიერ მცხოვრებთათვის მიყენებულ ზარალს. ნაუენი, აპრ. 23. ვიურტემბერგში და ბადენში გაფიცვების გამო ნახშირის სიმცირეა და სწრაფი მატარებლების მიმოსვლა შესწყდა. ამავე მიზეზით შესწყდა მიმოსვლა რეინის მარჯვენა მხარეზე. სამარა, 23 აპრ. კომუნისტ [illegible] გუბერნიის ორგანიზაცია მთელ თავის ძალებს კოლჩაკთან ბრძოლაში აბმარს. იალტა, აპრ. 24. იალტაში ყველა მთავრობის, საეჭირო და საზოგადო დაწესებულებები განაგრძობენ მოქმედებას. თეთრგვარდიელების მიერ შემოღებული სამხედრო წესები მოიხსნა. კრებების თავისუფლება აღდგენილია. [illegible] აკრძალულია. ალუშტა. აპრ. 24. სიმფეროპოლ-ალუშტის გზა განთავისუფლებულია. 14 აპრილს ქალაქში შევიდა საბჭოთა პირველი რაზმი, რომელმაც აგრეთვე დაიჭირა გურზუფი და იალტა. მთელი მეურნეობა იალტაში გადაქცა, იქიდან ტრანსპორტებზე—სევასტოპოლში. სურსათის მხრით მდგომარეობა გაუმჯობესდა. რიაზანი აპრ. 24. კომუნისტების მიერ გამოცხადებული მობილიზაცია კარგათ მიმდინარეობს. ადგილ. კომიტეტმა გამოყო კარგი მომუშავეები აღმოსავლეთ ფრონტზე გასაგზავნათ. მოაწყეს მოხალისეთა ჩაწერა კოლჩაკის წინააღმდეგ საბრძოლველად. სიმფეროპოლი აპრ. 20, ადგილობრივ ბურჟუაზიას ათი მილიონი მანეთის კონტრიბუცია დაადეს. რევ. კომ. დადგენილებით გაქცეულთა ქონებას კონფისკაცია მიეცა. გამოცხადდა ბურჟუაზიის მობილიზაცია 18 წ. 45 წ. შრომის ბეგარის მოსახდელათ. ნაუენი აპრ. 22. ბრემენში გაფიცვები გრძელდება. გაფიცულებს მიემხრნენ გაზის ქარხნების მუშები. ლონდონი აპრ. 23. საზავო კონფერენციაზე დანიშნულ დელეგაციებს დაუწერიათ მოხსენებები ომის პასუხისმგებლობის შესახებ. ომის პასუხისმგებლობა ეკისრება გერმანიას, ავსტრიას და უნგრეთს ყველა დამნაშავეებმა, აგრეთვე იმპერატორებმაც, გენერლებმაც, შტაბის ოფიცრებმა და უმაღლეს თანამდებობის პირებმაც უნდა მოიხადონ დამსახურებული სასჯელი. ომის დამწყებთა აღიარებულად სისხლის სამართალში მისაცემად კომისია წინადადებას იძლევა დაარსდეს უმაღლესი ტრიბუნალი, რომლის მუშაობაც არსებულ სამხედრო სასამართლოს ხელს არ შეუშლის.

გერმანული პრესის ცნობები.

უნგრეთში, როგორც სჩანს, მდგომარეობა უფრო მწვავდება, ზოგიერთი ცნობების მიხედვით საბჭოთა მთავრობა მალე დაეცემა. მაგრამ ამ ცნობებს უარყოფენ უნგრეთიდან მოსული ამბები. რუმინიის ჯარი უნგრეთის ტერიტორიაზე შეიჭრა და როგორც ამბობენ, ისინი უკვე დებრეცინთან და გროსვარდეინთან იმყოფებიან, ამავე დროს ჩეხო-სლოვაკების ჯარები უნგრეთის სადემარკაციო ხაზზე გადადიან და ბუდაპეშტისაკენ წინ მიიწევენ.

ზოგიერთი ცნობების მიხედვით ჩეხოსლოვაკების ჯარმა უკვე ვენა-ბუდაპეშტის რკინის გზის ხაზი გადალახა, იუწყებიან რომ ამ ჯარს კომორნი და რააბიც აუღია. არის კიდევ ცნობა, რომ ჩეხები ბუდაპეშტის რკინის გზიდან ერთი სადგურის სიახლოვეზე დგანან. ბუდაპეშტ-ვენის რკინის გზაზე სამგზავრო მიმოსვლა შესწყდა. გერმანულ ავსტრიის სანაპირო ყარაულმა ბრძანება მიიღო იარაღი აყაროს უნგრეთიდან გერმანულ ავსტრიაში გამოქცეულ წითელ სახალხო გვარდიის წევრებს. გერმანულ ავსტრიის ჰაეროპლანებმა აგრეთვე ბრძანება მიიღეს, რადგან უნგრეთის კომუნისტები ჰაეროპლანებით გაქცევას აპირებენ.

ბერლინსა და კოპენჰაგენს შორის ჰაეროპლანებით მიმოსვლა დაიწყო.

ვენაში იტალიის გენერალმა სეგრემ გერმანულ-ავსტრიის მთავრობას მოსთხოვა სახალხო გვარდიის შემცირება მოკავშირეთა მიერ დადებით ზავის პირობებში აღნიშნულ რაოდენობის თანახმად. სახელმწიფო კანცლერმა რენერმა განაცხადა, რომ დიდი ხანია რაც გერმანულ ავსტრიის მთავრობა გვარდიის შემცირების საკითხს არჩევს, მაგრამ შემოკლება იმ სახით, რა სახითაც მოითხოვენ მოკავშირენი არ მოხდა უმუშევრობის და ეხლანდელ საზოგადოებრივ მდგომარეობის და ეხლანდელ საზოგადოებრივ მდგომარეობის გამო.

„ნიუე ფრაიე პრესე"-ს თანამშრომელთან საუბრის დროს პრეზიდენტმა ნოსკემ სხვათა შორის სთქვა: გერმანიას არ სურს და არ შეუძლია თავისთავის დალუპვა. გერმანიის ეხლანდელ მთავრობას სურს გერმანიის ხალხის უმრავლესობის ნების ყოფით შექმნას თავისუფალი სოციალისტური გერმანია. ჩვენ არ გვსურს ვუმუქროთ უმცირესობის მთავრობა და არც უტოპისტების სოციალისტური ექსპერიმენტები გვსურს. ჩვენ უნდა შევქმნათ და კი არ დავანგრიოთ. ყველაზე უწინ ჩვენ უარვყოფთ უხეშ ძალის მოხმარებას.

მთავრობამ მტკიცეთ გადაწყვიტა არ დაუშვას მუქარის ან უხეში ძალის საქმეში ჩარევა. აგრეთვე არ დაუშვებს ბოლშევიზმს, რომელსაც აღმოსავლეთიდან ახალი სიძლიერით მოაქვს იერიში გერმანიის პირის შეჩერების ბოლშევიზმის წინსვლა, რომელიც შთანთქავდა არა თუ მარტო გერმანიას და დანარჩენ ევროპას, არამედ—მთელ მსოფლიოს. ჩვენი მტრები უნდა დაფიქრდენ ამაზე და შესაფერი პოლიტიკა აწარმოონ. გერმანიის პოზიცია, როგორც ეხლა, ისე მომავალში, დამოკიდებულია ჩქარ და მისაღებ ზავზე. მაგრამ, თუ მოკავშირეებმა დაგვიანეს ზავის შეკვრა ან თუ ნაძალადევი ზავი მოგვახვიეს თავს, მაშინ ყველა ის, რაც აქამდე ითქვა, ცარიელ სიტყვებათ დარჩება და გერმანელ ხალხის ენერგია დაეცემა რადგან მას ძალით სპობენ.

ბერლინში ოთხშაბათს, აპრილის 23 მოსამსახურეთა ბანკის საარბიტრაჟო კომისიის დადგენილების გამოცხადების შემდეგ ბანკებმა მუშაობა განაახლეს.

ფრანკფურტისაკენ პოლონელთა ჯარის გადაყვანის დროს არა სასურველი ინციდენტი მოხდა. ჯარისკაცებმა მოიტაცა 2 ფუნტის ჩემოდანი და პაკეტი ქაღალდ ფულით. ინციდენტი უკვე მოწესრიგებულია იმით, რომ ზარალი აუნაზღაურეს და მწუხარება გამოსთქვეს. ამას გარდა სამართალში აძლევენ სადგურის [illegible]. მაშინვე მოვიდა ცნობა, რომ იმავე რკინის გზის ხაზზე მოხდა მეორე ინციდენტი პოლონელებთან. აღმოჩნდა, რომ პოლონელები არა ცდილობენ, თანახმათ მიღებულ გადაწყვეტილებათა, არ ჩაიდინონ ისეთი საქციელი, რომელსაც შეუძლია აღაშფოთოს სადემარკაციო ხაზის აქეთ. პოლონელთა სატრანსპორტო მატარებელი მართლაც იყო პოლონური ეროვნული დროშებით და პოლონელი ჯარისკაცები [illegible] მღეროდნენ პოლონურ ეროვნულ სიმღერებს.

ახალი ამბები

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენლების კონფერენცია. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენლები გუშინ, 25 აპრილს შეიკრიბნენ ერთმანეთის მთავრობის თავმჯდომარის კაბინეტში. კონფერენციაზე დასასწრებლად საქართველოს რესპუბლიკიდან დანიშნულნი არიან: გ. გეგეჭკორი, ნ. რამიშვილი და კ. კანდელაკი. სომხეთის რესპუბლიკიდან: ს. მამიკონიანი, ს. ტიგრანიანი და ს. ს. არუტჩიუნიანი. აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან: მ. ჯაფაროვი, ფ. ხ. ხოისკი და ხასმამედოვი. მთიელთა რესპუბლიკიდან: კანტემირი, ფ ნზულიევი და ბუტაევი. დადგენილ იქნა პირველი სხდომა გაიმართოს კვირას, დილის 11 საათზე გარეშე საქმეთა სამინისტროს შენობაში.

— შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს: გაზეთებში გამოქვეყნებულ ცნობებიდან სჩანს, თითქო ყაზბეგის მოსახლეობა რაზმის უფროსს პოლკოვნიკ წერეთელს კავკავიდან გამოქცეული ბოლშევიკები საზღვარზე დაუჭერია და ყაზახებისათვის გადაუცია. გარდა ამ დასახელებული ცნობისა, რომელიც მოთავსებული იყო პრესაში, შინაგან საქმეთა სამინისტროს არავითარი ცნობები ამის შესახებ არ მოეპოვება. ამის გამო, თანახმად მინისტრის ბრძანებისა, ხსენე-

---

სასკოლო შენიშვნები

ეს შენიშვნები გამოწვეულია ამხ. ლ. ნათაძის მოხსენებით, რომელიც მან ჯერ დამფუძნებელი კრების სახალხო განათლების კომისიაში წაიკითხა და შემდეგ პრესაში გადაიტანა (იხ. გაზ. „ერთობის", 12 აპრილის, 82 ნომერში, ფელეტონი: „ჩვენი მუშაობის გეგმა").

პარლამენტისა და დამფუძნებელი კრების კომისიებში რა მუშაობაც სწარმოებს, ამას მკითხველი საზოგადოება, ფართო მასა სრულებით არ იცნობს, რადგან გაზეთებში არაფერი იბეჭდება ამის შესახებ. ამ მხრივ ლ. ნათაძის მაგალითი სასურველი მოვლენაა, ვინაიდან ყველა მცოდნე და დაინტერესებულ პირს საშუალება ეძლევათ მნიშვნელოვან კითხვების გადაწყვეტაში მონაწილეობა მიიღონ პრესის შემწეობით და მით კომისიებს სამსახური გაუწიონ.

ავტორი თავის მოხსენებაში ეხება ჩვენში სასკოლო საქმის დროებისა და გარემოების კვალობაზე ძირეულიანათ გარდაქმნის და სასურველად მოწყობის საკითხს. საკითხი, როგორც ხედავთ, ფრიად მნიშვნელოვანი და საყურადღებოა.

ლ. ნათაძის მოხსენება შეიცავს თითქმის ყველა იმ მასალას, რაც საჭიროა ჩვენი სკოლის განახლება-გარდაქმნისათვის, მაგრამ ეს მასალა, ჩემი აზრით, პრაქტიკული საქმიანობის თვალსაზრისით დალაგებული და დაყოფილი არაა.

თეორიულათ მოხსენება მშვენიერია, მაგრამ, მოგეხსენებათ, საღვთო წერილის სიტყვებით რომ ვთქვათ: თეორია თვინიერ პრაქტიკისა მკვდარი არს.

ავტორს გამოუნახავს ის მთავარი დებულება, რომელსაც უნდა დაექვემდებაროს ყველა დანარჩენი, მისი აზრით, წვრილმანი დებულებანი, მას უპოვნია არქიმედის ის [illegible] ბერკეტი, რომლის შემწეობით, რა თქმა უნდა, სკოლის გადაბრუნებაც სულ ადვილი საქმეა.

[illegible] თვითონ მომხსენებელი. ის ამბობს: „ჩვენ უნდა გამოვნახოთ მთავარი ძარღვი სკოლის რეფორმისა, რომელსაც უნდა დავუმორჩილოთ ყველა სხვა მხარეები სწავლა განათლების საქმისა". შემდეგ ავტორი გვიხატავს ამ დიდ ძარღვს და გვიხსნის მის მნიშვნელობას.

„მთელი ჩვენი მოქმედების დიდ ძარღვად უნდა მივიჩნიოთ განხორციელება საყოველთაო, სავალდებულო და უფასო პირველ დაწყებითი სწავლა-განათლებისა",—გვეუბნება ლ. ნათაძე.

რაკი ეს ასეა მომხსენებლის აზრით, აქედან ის ლოგიკურ დასკვნასაც აკეთებს, როცა ამბობს: „პირველი ნაბიჯი, რომელიც ჩვენ უნდა გადავდგათ, მდგომარეობს სასკოლო ქსელის შემუშავებაში. პირველად ჩვენ უნდა შევადგინოთ დეტალური სასკოლო ქარტა. შემდეგ უნდა შევიმუშაოთ სასკოლო რაიონების მაშტაბი".

საყოველთაო, სავალდებულო და უფასო დაწყებითი სწავლის განხორციელება სახელმწიფოსათვის რომ უდიდესი საკითხია, ამას მტკიცება არ უნდა. საქმე ისაა თუ როდის, რა საშუალებით და როგორი თანდათანობით უნდა განხორციელდეს სწავლა-განათლების ეს დიდი ძარღვი.

ლ. ნათაძეს ჰგონია, რომ მთავარი საკითხი, მთელი რეფორმის დიდი-ძარღვი როგორც ასეთი, პირველ რიგში უნდა განხორციელდეს, ხოლო ყველაფერი დანარჩენი, რაც ხელს უწყობს და ნიადაგს უმზადებს მის ცხოვრებაში გატარებას, შემდეგ და ბოლოს.

კითხვის ასე დაყენება, ვფიქრობ, მისი უკუღმა შებრუნებაა.

რაც დიდმნიშვნელოვანია ჩვენი ცხოვრებისთვის, რაც ჩვენი იდეალია, ამის განხორციელებას ახლავე შევუდგეთ, ხოლო ყოველი წვრილმანი სამერმისოდ გადავდვათ.

ჩინებული სურვილია, მაგრამ ცხოვრების [illegible] გარდუვალ კანონებს ვერ გადალახავს.

ასე რომ არ იყოს, ასე რომ არ გვწამდეს, მაშინ ბოლშევიკებთან რა გვექნებოდა სადავო და საბრძოლველი?!

მართალია, ზოგ იდეალს დიდი მანძილი აქვს გასავლელი, ზოგს კი უფრო მოკლე, მაგრამ ორივე შემთხვევაში წინასწარი სამზადისი საჭიროა და აუცილებელია, ვინაიდან, როგორც მოგეხსენებათ, ალექსანდრე მაკედონელმა ერთი დაკვრით თუმცა გადასჭრა გორდიის ნასკვი, მაგრამ ამოცანა კი მაინც ამოუცნობელი დარჩა.

შემცდარია მომხსენებელი, როცა ამბობს სკოლის რევოლუციური გზით გარდაქმნის შესახებ. რევოლუცია ძველი წესწყობილების ერთბაშად და სწრაფი ნგრევაა. ის უწინარეს ყოვლისა პირდაპირ ეხება პოლიტიკურსა და სოციალურ მხარეს, კულტურულ-განმანათლებელ მხარეზე კი მხოლოდ გავლენას ახდენს და თანდათანობით აყალიბებს ცხოვრებისა და გარემოების მიხედვით. სკოლის ერთბაშათ დანგრევა სარგებლობის მაგიერათ დიდ ზიანს მიაყენებდა სწავლა-აღზრდის საქმეს. მოკლეთ რომ ვთქვათ, სკოლას გარდაქმნა უნდა და არა გადატრიალება.

დამფუძნებელი კრების სახალხო განათლების კომისიაც, რა თქმა უნდა თავისი დიდი მიზნის განხორციელებისათვის ასეთ ნაცადსა და უტყუარ გზას უნდა დაადგეს, თორემ მუშაობის იდეალური გეგმა ქაღალდზე დარჩება, ხოლო პრაქტიკული საქმიანობის აუცილებლობა კი სხვა გზით მიმართავს მის მუშაობას.

ასეთი მოსაზრება თუ მართალია, მაშინ ისიც ცხადი იქნება, რომ საყოველთაო, სავალდებულო და უფასო დაწყებითი სწავლის განხორციელება უპირველეს ყოვლისა „იდეალური სასკოლო ქარტის" შედგენაში არ მდგომარეობს. ეს რომ მართლა ასე იყოს, მაშინ ჩვენ მეტს ძალას არ დავზოგავდით. სასკოლო ქსელისა და ქარტის შედგენა უბრალო ტექნიკური საკითხია, რომლის გადაჭრა არც ისე ძნელი საქმეა.

საყოველთაო სწავლის განხორციელებისათვის გადამჭრელი მნიშვნელობა ფინანსებს აქვს. მომხსენებელი კი ამ საკითხს სრულებით არ ეხება და საქმის სიძნელეს სულ სხვა რამეში ხედავს.

„რაკი ჩვენი კომისია შეადგენს სასკოლო ქარტას, შეიმუშავებს სწავლის ცენზს, მას წინ დაუდგება ერთი დიდი წმინდა პრაქტიკული და თავსატეხი საქმე: მან უნდა შეიმუშაოს ის თანდათანობითი რიგი, რომლითაც უნდა შესრულდეს შედგენილ სასკოლო ქსელის განხორციელება".

ამნაირად, ლ. ნათაძის აზრით, ჩვენში სწავლა-განათლების საქმის მოწყობისათვის თავი და თავი საქმე სასკოლო ქსელის და „იდეალური ქარტის" შედგენა ყოფილა, სხვა ყველაფერი ამას უნდა დაექვემდებარებოდეს და გამომდინარეობდეს.

მაგრამ საყოველთაო სწავლის განხორციელება ერთი და ორი თვის საქმე ხომ არაა. თვითონ მომხსენებლის სიტყვით ამ საქმის განსახორციელებლათ რუსეთის „მესამე სახელმწიფო დუმამ ათი წლის ვადა დაისახა თავის იდეალათ". ჩვენშიაც ხომ ამაზე ნაკლები დრო არ მოუნდება.

თუ ასეთია საქმის ვითარება, აქედან ცხადია, რომ სასკოლო ქსელის და ქარტის შედგენა არც ისე საშური და [illegible] რამ ყოფილა, ურომლისოთ სწავლა-განათლების საქმეს კატასტროფა მოელოდეს, პირიქით, მე მგონია, თვით საყოველთაო სწავლის განხორციელებას მთელის კრიზისი, თუ წინასწარ ის საკითხები არ გადავწყვიტეთ, რომლებიც ლ. ნათაძეს წვრილმან და უმნიშვნელო საკითხებათ თვლის.

თვითონ მომხსენებელი აღიარებს, რომ ჩვენს სკოლებში დღეს სრული ანარქიაა გამეფებული. მართლაც, სკოლებში ძველი რეჟიმი მხოლოდ სახეშეცვლით მოიშალა, სწავლების სისტემა მხოლოდ ოდნავ შეირყა, ასე რომ ჩვენი სკოლა, როგორც დაწყებითი, ისე საშუალო, დღეს ძველი კალაპოტიდან ამოვარდნილია და ახალს დაეძებს.

ვისაც სკოლისათვის გული შესტკივა, განსაკუთრებით ვისაც დაკისრებული აქვს მისი მოვლა-პატრონობა, იმან დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს სათანადო ზომები, რომ სკოლას ახალი კალაპოტი მიუჩინოს და ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნოს. აქ დაყოვნება დიდი დანაშაულობა იქნება, ვინაიდან ახალი კალაპოტის მაძიებელი ორგანიზაციულად სუსტი და მოშლილი სკოლა, თავის ამარად თუ დარჩა მიგდებული, სულ გაიხრწნება და დაილუპება.

დღეს არსებული სკოლების მოსაწესრიგებლათ უპირველეს ყოვლისა საჭიროა დროისა და გარემოების შესაფერი ტიპის გამონახვა, რაც გაანაყოფიერებს და მიზანშეწონილათ გახდის მის მოქმედებას. შემდეგ უნდა შემუშავდეს შესაფერი პროგრამები, რომელთა მიხედვით შედგება სახელმძღვანელო წიგნები, რაც მშობლიურ ნიადაგზე განამტკიცებს სკოლას და შესაძლებლათ გახდის ბაზაში სრული ნაციონალიზაციის განხორციელებას.

როცა სკოლის ტიპი გამოინახება, დაბალ, სპეციალურ და საშუალო სკოლათა შორის გარკვეული დამოკიდებულება და კავშირი განისაზღვრება, როცა პროგრამები შედგება და სახელმძღვანელო წიგნები დაიბეჭდება, მაშინ სკოლა ნორმალურ ახალ კალაპოტში ჩადგება, ახლა ენერგიით და ხალისით მუშაობას გააჩაღებს და სასურველ დონეზე დადგება. ყოველივე ეს ნიადაგს მოუმზადებს საყოველთაო სწავლის შემოღების საქმეს, გაადვილებს და გაამარტივებს მის განხორციელებას.

ასეთი ნაბიჯის გადადგმით უპირველეს ყოვლისა ჩვენ მოვლა-პატრონობას გავუწევთ იმ სკოლებს, რაც დღეს გვაქვს და რაც სწვავე კრიზისს განიცდის.

საყოველთაო სწავლის შემოღება ისე ყოვლად წარმოუდგენელია, თუ წინასწარ სკოლის ტიპი არაა გამორკვეული. საქმე ისაა თუ საყოველთაო, სავალდებულო და უფასო სწავლის ფარგლებში კონკრეტულად რა შინაარსს ჩავდებთ. ასეთი სწავლის ვადა შეიძლება განისაზღვროს ოთხი წლით, შეიძლება ექვსით ან რვა წლითაც. დემოკრატიული სახელმწიფოსათვის, რა თქმა უნდა, უფრო სასურველია დაწყებითი სწავლის, მთელი კურსი იყოს საყოველთაო და სავალდებულო, მაგრამ ეს მარტო სურვილით არ გადაწყდება, ამას ფინანსიურ-ეკონომიური მდგომარეობა უნდა უწყობდეს ხელს.

როცა სასკოლო ქსელის და ქარტის შედგენას შევუდგებით, ცხადია, წინდაწინვე უნდა ვიცოდეთ რამდენწლიანი იქნება საყოველთაო დაწყებითი სწავლის კურსი. ამის განსაზღვრა საშუალებას მოგვცემს მოსწავლეთა რაოდენობა ვიანგარიშოთ და ამის მიხედვით გასახსნელ სკოლების რაოდენობაც გამოვარკვიოთ. სხვანაირათ და სხვა გეგმით მუშაობის დაწყება, ვფიქრობ, წყლის ნაყვა იქნება.

მომხსენებელიც არ ივიწყებს სკოლის შინაგანი გარდაქმნის საკითხს, მაგრამ ამას ის თვლის ადვილ და წვრილმან საქმედ. ის ამბობს: პარალელურათ ამ საკითხთან უნდა ხდებოდეს სკოლების შინაგანი რეფორმაც... აქ უნდა მოვახსენოთ სასკოლო ტიპების არჩევა... სა-

ბულ წერეთელს დეპეშით ებრძანა დაუყოვნებლივ წარმოადგინოს დაწვრილებითი მოხსენება ამ საქმის შესახებ— ნამდვილად ჰქონდა თუ არა ადგილი მის ახლო მოქმედებას. საქმის დაწვრილებითი გამოსარკვევად სასტიკი გამოძიება სწარმოებს.

◆ განიხილა რა სამხედრო მინისტრმა გენ.-მაიორების კონიაშვილის და ყაზბეგის და პოდპ. ოქუაშვილისაგან შემდგარი კომისიის მიერ წარმოებული კვლევა-ძიება, დაადგინა: 1) საზოგადო ადგილზე წარმოთქმულ სახალხო გვარდიის შეურაცხმყოფელი სიტყვებისათვის დატუსაღებულ იქნას ერთის თვით ჰაუპტვახტში და დათხოვნილ იქნას სამხედრო სამსახურიდან წოხელე ბახუტაშვილი; 2) უკანონო, გარემოებით არ მოთხოვნილის, განკარგულებისათვის გამოსაწვევად შეიარაღებულის ჯარისკაცებისა ინციდენტის ადგილზე გაწვეულ იქნას გორიდან კაპიტანი მიქელაძე ბატარეის უფროსის თანამდებობიდან გადაყენებით და მის საქმის სამხედრო პროკურორისთვის გადაცემით სამართალში მისაცემად. რაიცა შეეხება გორის მაზრის ადმინისტრაციის მოხელეთა მოქმედებას, მათ შესახებ საქმე გადაეცეს შინაგან საქმეთა სამინისტროს.

◆ სამხედრო სასამართლოში. 24 აპრილს სამხედრო სასამართლოში გაირჩა საქმე 19 აპრილს მოკლულ ინგლისელ ქეჩისხა. ერთი დამნაშავეთაგანი პაიჭაძე ჯერ არ არის შეპყრობილი, გაასამართლეს ამ საქმეზე შეპყრობილნი შემდეგი პირნი: ბერძენიშვილი, ქლენტი, ბარამიძე, მუხაშავრია და ცინცაძე. სასამართლოს წევრებად იყვნენ სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის მიერ საგანგებოთ მოწვეულნი პირნი. სასამართლომ მიუსაჯა სიკვდილით დასჯა ბერძენიშვილს, ქლენტს და ბარამიძეს. მუხაშავრიას კატორღა 20 წლით, ცინცაძეს 12 წლით.

◆ წერა-კითხვის საზოგადოებაში. კვირას, 11 მაისს, დღის 12 საათზე, ქართულ სამეურნეო ბანკის დარბაზში (სასახლის ქუჩა) დანიშნულია ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების რწმუნებულთა მორიგი კრება. განსახილველი საგნები: 1) საზ. მთავარი გამგეობის 1918 წ. მოქმედების ანგარიში. 2) გამგეობის მოხსენება აკაკი წერეთლის ნაანდერძევი უძრავი ქონების მიღების შესახებ. 3) გამგეობის მოხსენება საზოგადოების მომავალი სამოქმედო გეგმის შესახებ.

◆ ახალქალაქიდან ლტოლვილთა კომიტეტი სთხოვს ლტოლვილთა დამხმარე კომიტეტს შემდეგს ატყობინებს: სიმშილობამ საშინელი ხასიათი მიიღო. მსხვერპლი აუარებელია. თქვენ მიერ გამოგზავნილი ფული ძლიერ მცირეა და მის დარიგებაზე ჩვენ უარს ვაცხადებთ. დათესვის დრო გადის. დაგვიანება დანაშაულობა იქნება.

◆ ავტომობილების აღწერა. იმ ავტომობილთა რიცხვის გამოსარკვევად, რომელიც მხედველობაშია საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში და კერძოთ ტფილისში,—სდგება სარეგისტრაციო კომისია, რომელშიაც შედიან საავტომობილო განყოფილების, ქალაქის თვითმართველობისა და გზათა სამინისტროს წარმომადგენელნი. ამიტომ კერძო ავტომობილთა პატრონნი უნდა გამოცხადდნენ კომისიაში სარეგისტრაციოთ ავტომობილის ნომრით. იმ პირთ, რომელთა ავტომობილი შესაკეთებლათ არის, უნდა შეიტანონ განცხადება და მისამართი, სადაც არის ავტომობილი. აგრეთვე ის პირნი რომელთაც აქვთ ავტომობილების ან მოტოციკლეტების ნაწილები, ვალდებულნი არიან წარმოადგინონ ამ ნაწილების სია, რომ შესაფერი მოწმობა მიიღონ. სამხედრო უწყება და მთავრობის დაწესებულებანი უნდა წარმოადგინონ მთელი სია მათ ხელში მყოფ ავტომობილებისა. უკანასკნელ დღეთ განცხადებისა დანიშნულია 1919 წ. 28 აპ. კერძო პირნი, რომელნიც ამ დადგენილებას არ დაემორჩილებიან და დანიშნულ დრომდე არ წარმოადგენენ განცხადებას,—უფლება ეკარგებათ და გადადის ხაზინის ქონებათ. სამხედრო უწყებისა და მთავრობის დაწესებულებათა უფროსები კი, თუ დროზე არ წარმოადგენენ მათ განკარგულებაში მყოფ ავტომობილთა სიას ნომრებით, გამოირიცხულ იქნებიან სამსახურიდან და გადაეცემა სასამართლოს.

◆ ტობანიერში გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება.

◆ ლექცია. შაბათს, 26 აპრილს, საღ. 6 საათზე, ერის პარტიულ მუშათა კლუბის დარბაზში (ოლღას ქ., 29) ილია ნაკაშიძე წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „საქართველოს დელეგაციის მოგზაურობა“.

◆ კანონთა კრებული. რედაქციამ მიიღო იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ საკოდიფიკაციო განყოფილების მიერ გამოცემული, საქართველოს რესპუბლიკის კანონთა კრებული. წიგნში მოთავსებულია საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული თითქმის ყველა კანონი, შეიცავს სამას გვერდზე მეტს და ღირს 30 მ.

◆ ქურდობა. 24 აპრილს, ღამის 2 საათზე მიხეილის ქუჩაზე, სარქისიანცის ბინიდან მოიპარეს 50,000 მანეთის ნივთები.

— იმავე ღამეს ნ. ხმალაძის ბინიდან მოიპარეს 5,000 მანეთის ნივთები.

კრებები

დღეს, საღამოს 7 საათზე შესდგება ქალაქის საბჭოს სოციალდემოკრატიული ფრაქციის სხდომა.

— დღეს, საღამოს 5 საათზე მეორე რაიონის ბიუროს ბინაზე შესდგება საქართველოს ს. დ. მ. პ. ტფილისის ქალაქის ბიუროს წევრთა სხდომა.

— შაბათს, 26 აპრილს, საღ. 5 საათზე, მეოთხე რაიონის ბინაზე (ოლღას ქ. № 29) დანიშნულია საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ საგანმანათლებლო კომისიის არაჩვეულებრივი სასწრაფო სხდომა.

— დღეს, საღამოს 5 ს. საკუთარ ბინაზე მოხდება მე-6 რაიონის ახალგაზრდა მარქ. ორგ. კოლექტივის არაჩვეულებრივი სასწრაფო სხდომა.

— კვირას, 27 აპრილს, დღის 11 ს. წ. კ. გ. ს. ბინაზე დანიშნულია აღმოსავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებელთა კავშირის მთავარი გამგეობის მორიგი კრება.

— დღეს, საღ. 6 ს. შესდგება წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის კრება.

მთავრობაში

15 აპრილის სხდომაზე მთავრობამ დაადგინა.

— სატრანსპორტო საზოგადოებისათვის გადასაცემ ქონების დამფასებელ კომისიის წევრებად დაინიშნონ ივ. ყიასაშვილი და დ. კახელაძე.

— გაუქმებულ იქნას ამიერ კავკასიის სასინჯაო განყოფილება.

დაარსდეს სასინჯაო განყოფილება სამთო სამმართველოსთან. გადაიდოს ამ განყოფილებისათვის ამა წლის 1 იანვრიდან 1 ივნისამდე 22,625 მ. და სალიკვიდაციოდ 2,000 მ., სულ 24,625 მ.

— 1) გაუქმდეს ტფილისის საზომ-საწონთა პალატა № 24.

2) დაარსდეს საქართველოს რესპუბლიკის საზომ-საწონი პალატა.

3) წარმოდგენილ შტატებში მოულოდნელ ხარჯებისათვის ნავარაუდევი თანხა 2,000 მან. მიემატოს სამეურნეო და საკანცელარიო ხარჯებს.

4) გადაიდოს 10 მილ. ფონდიდან საზომ-საწონთა პალატის საჭიროებისათვის სულ 28,708 მ. და 33 კ.

ტყიბულის ნავთი

რადგანაც ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა გამოცხადდა, მოწინააღმდეგენი სულ იმის მტკიცების ცდაში იყვნენ, რომ ჩვენი რესპუბლიკა დამოუკიდებლად ვერ იარსებებსო, რადგან ჩვენ ვითომ გვაკლდეს ყოველნაირი ბუნებრივი სიმდიდრენი. ამის შესახებ საკმაო წერილები დაიწერა და ლირსეული პასუხიც გაეცა მოწინააღმდეგეთ; მაგრამ ერთი ჩვენი სუსტი მხარე ყველასათვის ნამდვილად თვალსაჩინო იყო და ამას არც ჩვენები უარყოფდნენ.—ეს სუსტი მხარე იყო საკუთარი ნავთის უქონლობა და ჩვენი ბაქოსგან დამოკიდებულება.

მართალია, ჩვენ დიდი იმედები გვქონდა და დღესაც გვაქვს ჩვენში არსებულ წყლების აუარებელ ძალის გამოყენებისა, მაგრამ ამ ძალების გამოყენებას, უნდა გამოვტყდეთ, ჩვენ ჯერ ადვილად ვერ შევძლებთ: ამას უნდა დრო, მანქანები და ფული.

ეს ჩვენი გასაჭირი ძალიან კარგად ესმოდათ და ესმით ჩვენს ჩრდილოეთისა თუ სამხრეთისაკენ მზირალ მტრებს და აკი ყოველნაირად ცდილობენ გაგვაძნელონ არსებობა. ყველას კარგად გვახსოვს ის დრო, როდესაც იძულებულნი ვიყავით რკინის გზებზე ქვანახშირის ხმარება შემოგვეღო. ეხლაც დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც აღერბეიჯანმა ნავთის ფასის კლება მოიმატება განიზრახა—საზოგადოდ აღერბეიჯანი თავის პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ჩვენდამი მოპყრობაში მოხერხებულად სარგებლობს ამ უპირატესობით, რომელიც ბუნებამ შემთხვევით მას არგუნა. აუცილებლად დარწმუნებულნი უნდა ვიყვნეთ, რომ [illegible] საკითხი შესაძლებლად სხვანაირი იქნებოდა ურთიერთობა პოლიტიკურიც და ეკონომიურიც, როგორც ჩვენსა და მაგ.-აღერბეიჯანს, აგრეთვე სხვა მეზობელ ერთა შორის. მეტიც: უცხო დიდი და პატარა სახელმწიფონიც სხვა თვალსაზრისით დაგვიწყებდნენ ცქერას. ჩქარა ერთი წყლეწილი იქნება, რაც ჩვენი რესპუბლიკის დამოუკიდებელ პოლიტიკურ არსებობას განამტკიცებს და თითქმის თანდათან უფრო გაგვიმყარებდნენ, რომ ჩვენი გაჭირვებული ახლო უმწეო, ეკონომიურად დამოკიდებულ მდგომარეობიდან შეუძლებელი იყოს.

ნამდვილად კი სრულებით ასე წამხდარი არ არის ჩვენი საქმე.

უპირველეს ყოვლისა რომ არ ნამოვეგერთვან ფერითი მოსაზრებანი, მხოლოდ ჩვენს თავს შევეხებით მოკრძალებით და ვიტყვით: ჩვენ ყოველივე საკმაო მოგვეპოვება და შეგვეძლო, უკიდურეს შემთხვევაში, სრულიად განცალკევებული ცხოვრებაც კი ისე, რომ არაფერს ნაკლს არ განვიცდიდეთ.

ჩვენ გვაწუხებდა უმთავრესად სათბობის საკითხი, მაგრამ ეს საკითხი ჩვენ აღარ გვაფიქრებს, ამ მხრივ უზრუნველყოფილი ვართ: ჩვენ საკმაო გვქონია ნახშირიც და ნავთიც. გვეუბნებიან: თქვენი ნახშირი ღირსებით მდარეა და ნავთის წარმოების ლიკვიდაცია ხომ უკვე მოახდინეთ, ცხადია თავისთავად, თუ რა ფასისა იყო ეს ნავთიო.

მაგრამ მე იმ ნავთზე არ ვლაპარაკობ, მე მოგახსენებთ ფქვილ ნახშირის შესახებ.

ფქვილ-ნახშირის ხმარება ყოველნაირი ნახშირის ყოველგვარ მრეწველობის დარგში სხვადასხვა გამოყენებისა შეუძლებ- მობს. აქ თითქმის ეკარგება მნიშვნელობა იმ მოსაზრებას, თუ რა ღირსებისაა ეს ან ის ქვანახშირი. აქ თითქმის სავსებით ჰქრება ნავთის ხმარების საჭიროება. აქ სრულებით აღარ არსებობს საკითხი ქვაბების გახურების ტექნიკის გამარტივებისა—ასეთი რამაა ფქვილი ნახშირი!

ფქვილი ნახშირი, როგორც უკვე წინა წერილში იყო აღნიშნული („ერთობა“, იანვრის 31), იხმარება რკინის გზებზე, დამდგარ მამოძრავებელ ორთქლის ქვაბებზე, ელექტრონის სადგურებზე, პურის საცხობ ფურნეებში, ცემენტის და სხვადასხვა სამეტალურგიო ქარხნებში.

ამ ჟამად საკითხია ჩვენში აღძრული, ჩვენში რკინის გამოდნობის საქმის ([illegible]) მოსაწესრიგებლად, რასაც კოქსი ან ნავთი სჭირდება. ფქვილ ნახშირით რკინის გამოდნობა უკვე არის პრაქტიკაში შემოღებული და მაშასადამე, ჩვენში ფქვილ-ნახშირის საკითხის გადაჭრა, აქაც მოსპობს კოქსის და ნავთის საკითხს (თუმცა ჩვენი ქვანახშირით კოქსის დამზადებაც შეიძლება).

ჩვენდა სასიხარულოთ მინისტრმა ხომერიკმა ჯეროვანი ყურადღება მიაქცია ამ დიდ მნიშვნელოვან საკითხს და დაავალა ტყიბულის ქვანახშირის მადაროების მთავარ გამგე გელოვან ცაცაშვილს ფქვილ ნახშირით ქვაბების გახურების ცდა მოახდინოს. („ერთობა“, მარტის 20).

ბ-ნ ცაცაშვილთან უკვე მქონდა მოლაპარაკება და უნდა ვიმედოვნოთ, რომ მოკლე ხანში განხორციელდება კიდეც ფქვილ ნახშირის გამოცდის საქმე.

ამ საკითხის გადაჭრა, ვიმეორებ, პოლიტიკაში დიდს მნიშვნელობას იქონიებს და ამ მხრივაც წაიწევს ჩვენს ეკონომიურ კეთილ მდგომარეობას. უნდა დარწმუნებული ვიყოთ, რომ არც ბ-ნი მინისტრი და არც ბ-ნი ცაცაშვილი არ დაიშურებენ იმ მცირე ხარჯებს, რომელიც საჭირო იქნება ამ საქმის ჩქარ განხორციელებისათვის.

ჩვენს რესპუბლიკას ჰყავს თავისი მხსნელი—ეს ტყიბულია. მხოლოდ ტყიბულმა უნდა დაუთმოს თავისი ქვანახშირი.

მიხ. შალამბერიძე.

რკინის გზაზე

თავხედი მილიციონერები.

20 აპრილს მე სადგურ ყვირილიდან მივემგზავრებოდი მატარებლით ტფილისში. თან მახლდა ჩემი რაზმის ჯარისკაცი გიორგი მიქაძე.

როდესაც მატარებელი გაჩერდა ნავთლუღის სადგურთან, ჯარისკაცი გადმოვიდა მატარებლიდან და დაიწყო პლატფორმაზე სეირნობა. მას მიუახლოვდნენ სადგურის მილიციონერები, რომლებიც ღვინით გალეშილები იყვნენ და მოსთხოვეს მიქაძეს, ყოველივე მიეცა მათთვის, რომელიც მას ხელში ეჭირა.

როდესაც მიქაძემ მათი მოთხოვნა არ შეასრულა, მილიციონერებმა მოსთხოვეს იარაღის ტარების ნებართვა. ჯარისკაცმა მიქაძემ მათ განუმარტა, რომ მისი რაზმის უფროსი მატარებელში იმყოფება და ჩემ შესახებ მას მიმართეთო.

მილიციონერებმა ასეთ განცხადებას არავითარი ყურადღება არ მიაქციეს, ძალით წაართვეს იარაღი მიქაძეს და ერთმა მათგანმა, სახელდობრ დოლიძემ, ტყვიით დასჭრა მიქაძე, რომელიც მოთავსებულია რკინის გზის საავადმყოფოში.

საგანგებო რაზმის უფროსი, კაპიტანი უხტიაშვილი.

საქ. პროფესიონალურ კავშირთა კონფერენცია

14 აპრილის სხდომა.

წარმოების აწევის და რეალური სამუშაო ქირის შესახებ მოხსენებას აკეთებს შრომის სამინისტროს კანცელარიის გამგე გოლდმანი. (მოხსენებას ცალკე დავბეჭდავთ). მოხსენების ძირითადი დებულებები ასეთი იყო: დაცემული წარმოება უნდა აწეულ იქნას. შრომის ნაყოფიერობა უნდა გადიდდეს. წარმოების აწევაში ამ ჟამად დაინტერესებულია მუშათა კლასი და არა ბურჟუაზია, ამიტომ შემოღებულ უნდა იქნას ნარდით მუშაობა. სახელმწიფო უნდა ჩაერიოს წარმოების მოწესრიგებაში. უნდა დაწესდეს სამუშაო ქირის მინიმუმი და მაქსიმუმი და სხვა.

გოლდმანის მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი.

ძამანაშვილი. წარმოების სისტემა უნდა შეიცვალოს, წარმოება ჩვენ უნდა გავანაციონალოთ. მაგრამ არის ერთი გარემოება,—მუშებმა რომ იცოდნენ და შრომა გაანაყოფიერონ, თუ გინდ 15 საათი იმუშაონ, წარმოება მაინც არ აიწევს, რადგანაც ორი მესამედი [illegible] არ შრომობს. საჭიროა სავალდებულო შრომის შემოღება. როგორც ქალაქში, ისე სოფელში, წარმოება და სავალდებულო შრომის გატარება ხელთ უნდა აიღონ მუნიციპალიტეტებმა. ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებასაც, რომ დღეს მუშები ფიზიკურად ნადგურდებიან. თუ არსებობენ მხოლოდ იმიტომ, რომ წინეთ დაგროვილ ქონებას ხარჯავენ. დღეს სურსათის შესაძენად მიდის მთელი ჯამაგირი. გამოსავალი გზა სავალდებულო შრომის შემოღებაშია. უნდა ხდებოდეს შრომის რეგისტრაცია.

დ. ხართიშვილი. მომხსენებლის მიერ წამოყენებული დებულებები თეორიულად სწორია, მაგრამ პრაქტიკულად განუხორციელებელი. მომხსენებელს არაფერი არ უთქვამს იმის შესახებ, თუ რა უნდა ვქნათ დღეს, როგორ დავაძვრინოთ თავი შექმნილ მდგომარეობას. მე ვფიქრობ, რომ ის, რაც გვაქვს, არ უნდა წავიდეს საზღვარ-გარეთ და სამართლიანად განაწილდეს მცხოვრებთა შორის. უნდა მოხდეს ყველა პროდუქტების და საქონლის რეგისტრაცია. ეს უნდა იკისროს დემოკრატიულმა მთავრობამ და ყველა დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა.

კაკაბაძე. მომხსენებლის მთავარი დებულებების წინააღმდეგ მე არაფერი მაქვს, მე მხოლოდ არ ვეთანხმები მის ზოგიერთ დასკვნებს. მომხსენებელმა სთქვა, რომ სამუშაო ქირის მომატება ისევ მომხმარებლებს აწვება კისერზე. აქედან დასკვნა წარმოება უნდა მოვაწყოთ ისე, რომ სამუშაო ქირა უტოლდებოდეს მუშის მიერ შექმნილ ღირებულებას. ამისათვის კი საჭიროა ნაჭრობითი მუშაობა. ეს აწევს წარმოებას. ჩემის აზრით ეს საქმეს არ გამოასწორებს. ჩვენ წარმოების ორგანიზაცია უნდა მოვაწყოთ. ყველა ის ნედლი მასალა, რაც ჩვენ მოგვეპოვება, აქვე უნდა გადამუშავებულ იქნას. ეს უნდა იკისროს სახელმწიფომ. სახელმწიფო კონტროლს დიდი მნიშვნელობა უნდა მიეცეს. უნდა დაწესდეს თავისუფლება შემოტანილ საქონელზე და სხ.

არჩ. რუხაძე აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ მუშათა კლასი გაჭირვების გზას ადგია. ყურადღება უნდა მიექცეს, ამბობს ორატორი, მუშათა საზრდოობის მოწყობას. უნდა მოხდეს წარმოების მუნიციპალიზაცია. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სპეკულიაციას და მასთან ენერგიული ბრძოლა იქნას წარმოებული. ორატორი აუცილებლად საჭიროდ სთვლის სატარიფო პალატის დაარსებას.

ბერიშვილი. რომ წარმოება დაცემულია, ეს სადავო არავისთვის არ არის. საჭიროა ზომების გამონახვა მის ასაწევად. აქ ჩვენ გვითხრეს, ნაჭრობითი მუშაობა უნდა შემოვიღოთო. ჩვენ დიდი ხანია, რაც ნარდით მუშაობას ვებრძოდით. დღეს კი ეს ნარდით მუშაობა უკვე რადიკალური საშუალებაა წარმოების ასაწევად. ჩვენ დღეს არ გვეშინია იმისი, რომ არ მოხდეს ზედმეტი ნაწარმოების დაგროვება და კრიზისი, ნარდით მუშაობა წარმოებას რომ ასწევს, ეჭვი არაა. იქ, სადაც ასეთი მუშაობის წესი იქნა შემოღებული, წარმოებამ 169 პროცენტით აიწია. ჩვენ ამ ნარდობით მუშაობას, მით უმეტეს, არ უნდა ვეუშინოდეთ დღეს, როდესაც გვაქვს 8 საათის სამუშაო დღე, შრომის დაცვა და ს. ს. ამიტომ უნდა მივიღოთ ეს სისტემა. რაც შეეხება მეორე ზომას, მუშათა კონტროლის შემოღებას, ეს ზომა კი ბალშევიკურია. წარმოების სინდიკალიზაცია საქმეს ვერ უშველის. ან უნდა მიეცეს სრული თავისუფლება კერძო ინიციატივას, ან და სავსებით აიღოს სახელმწიფომ. ორატორი დაასკვნის: ნარდით მუშაობას სიცოცხლე უნდა მივცეთ, სრული თავისუფლება უნდა მიეცეს კერძო ინიციატივას, დაწესებულ უნდა იქნას სამუშაო ქირის მინიმუმი.

გიორგაძეს ნარდით მუშაობის შემოღება, როგორც დროებით საშუალება, საჭიროდ მიაჩნია. ის მოითხოვს სასტიკ დაცვას 8 საათის სამუშაო დღის და მკაცრი კონტროლის წარმოებას.

ქლენტი აცხადებს, რომ ლითონზე მომუშავენი წინააღმდეგნი არიან ნარდით მუშაობის. ორატორი საჭიროდ სცნობს ზომის მიღებას მუშებისათვის გაკვეთილის მუშაობის სისტემის შემოღებას.

გ. ცრიძე აღნიშნავს, რომ ყველა ის ზომები, რომელიც აქ დაასახელეს, ყველა ამ ზომებს ჩვენ ვემხრობით, ახლა კი ახალ სისტემასაც გავწევთ. ზოგიერთს ეშინია, რომ ყველგან ნარდით მუშაობის სისტემის შემოღება არ შეიძლება. მე ვაცხადებ, რომ ნარდით მუშაობა იქნება შემოღებული იქ, სადაც საამისო პირობები იქნება. ჩვენ მოვითხოვთ მხოლოდ პრინციპიალურად მიღებას ნარდით მუშაობის სისტემისა. მე ვამტკიცებ, რომ ჩვენში ახლაც არსებობს ნარდით მუშაობა. ჩვენ მხოლოდ ვადასტურებთ არსებულ ფაქტს. რა არის თუ არა ნარდით მუშაობა, როცა 8 საათის მუშაობის შემდეგ მუშა ისევ ყიდის სამუშაოს? 8 საათის შემდეგ მუშაობა ეს რევოლიუციის მონაპოვართა წინააღმდეგია, ჩვენ ამას პრინციპიალურად უარვყოფთ. მეორე ზომა ეს სამუშაო ქირის ნორმის დაწესებაა. სხვა და სხვა ნორმა არ უნდა არსებობდეს ერთი და იმავე დარგში.

შემდეგ ლაპარაკობენ პაიჭაძე და აბდუშელიშვილი, უკანასკნელი წინააღმდეგია ნაჭრობით მუშაობის.

გ. ხოშტარია. მოხსენებაზე სამწუხაროდ მე არ ვყოფილვარ. კამათიდან ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთმა გარემოებამ: ყველა ორატორი ყურადღებას აქცევდა მხოლოდ ერთ მომენტს სამეურნეო ცხოვრებისას. ეს არის შრომის ნაყოფიერება. მე ვფიქრობ, რომ სამეურნეო ცხოვრებაში ყურადღება უნდა მიექცეს არა მარტო წარმოების მომენტს, არამედ საქონლის ტრიალს და ნაწარმოების მთლიანად აღდგენას. ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ ფულის კურსს, ტალის შემოსვლას, ჩვენი სახელმწიფოს ფინანსიურ პოლიტიკას და მაშინ ჩვენს წინ წამოიჭრება საერთაშორისო ბაზრის მდგომარეობის საკითხი. შემდეგ ორატორი ეხება თანამედროვე ომის მიზნებს და ამბობს, რომ წინეთ კაპიტალის ტენდენცია იყო ბაზრის შეძენა, გაფართოვება, ამას ესაჭიროებოდნენ წინანდელი ომები, თანამედროვე ომში კი სულ სხვა ტენდენცია დაიბადა. ბაზარი გამოიხატა ადამიანის პიროვნებაში, ადამიანის ცხოვრება გახდა ბაზრათ. და ამ გარემოებამ დაბადა ახალი მდგომარეობა და მე მომხსენებლის ყურადღებას მივაქცევდი ამ საერთაშორისო მდგომარეობას და ამისდა მიხედვით გადავწყვეტდი წამოყენებულ საკითხს.

ტრიომანი ციფრებით ამტკიცებს, რომ ნარდით მუშაობა წარმოებას ანაყოფიერებს.

ლიადოვი. შრომის განაყოფიერება ამ სახით, რა სახითაც ეხლა ჩვენს წინ არის წამოყენებული, არასოდეს არ ყოფილა არც მარქსის და არც ენგელსის წინაშე. დღეს წარმოების განაყოფიერებაში დაინტერესებულია მუშათა კლასი. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დღეს კაპიტალი წარმოებას სტოვებს და სპეკულიაციას მისდევს. სპეკულიაცია წარმოებს საქონლის ნაკლებობის ნიადაგზე, ამიტომ ბურჟუაზია ამ ჟამად ვერ აიძულებს წარმოებას აწევაზე. ეს დღეს მუშათა კლასის საქმეა. ამით დამთავრდება კამათი.

(შემდეგი იქნება)

ხმა მორჩალოდან

მორჩალის მაზრა საერთოდ ერთი საუკეთესო კუთხეთ უნდა ჩაითვალოს მთელი ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე თავისი ადგილ-მდებარეობით თუ მცენარეულობისა და ნიადაგის სიმდიდრით. მაგრამ თუ ეს კუთხე ჩვენი ქვეყნისა, მიუხედავად მისი მიწების საარაკო სიმდიდრისა, აქამდის ვერ აყვავებულა, ამის მიზეზები უნდა ვეძიოთ საერთოდ მთელს ჩვენს ჩამორჩენილობაში და კერძოთ კი ამ მაზრის მრავალ-ფეროვან მცხოვრებთა საარაკო უვიცობა-უკულტურობაში. თუ რა საჭირო შეძლებას მოიხვეჭს იქ, მაღლიან მიწაზე, ადამიანის ცოდნა და მუყაითობა, ამას ცხადად მოგვითხრობს იქვე ამ მაზრის ერთ რაიონში გაშენებული გერმანელების ახალშენი ეკატერინფელდი.

მშვენიერი, სუფთა, ელექტრონით განათებული საცხოვრებელი სახლებით, ქალაქის ყაიდაზე გაყვანილი განიერი და სწორი ქუჩებით და სხვა მოწყობილობით, ეს კოლონია ქალაქს უფრო წააგავს, ვიდრე სოფელს. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ მთელი კოლონია გარსშემორტყმულია მშვენიერი ხეხილის ბაღებით, ლამაზ-უწყვეტელი ვენახებით, ბოსტნებით და შემდეგ კი სათესავი მინდვრებით.

როდესაც ვადარებთ ამ კოლონიის სიმდიდრეს პურით, ხორცით, ღვინით, კარაქით, რძით, ხილით, მოსავლიანობით და სხვა საოჯახო სურსათით ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეების ზოგიერთ მდიდარ დასახლებულ სოფლებს, გაოცებული ვეკითხებით ჩვენს თავს: სად იყო აქამდის ეს საიდუმლო ხელი, რომ ვერ მივედით აქ, ვერ დავსახლდით და ვერ მოვიხმარეთ ბუნების ეს უხვი მიწა, რომ მხოლოდ უცხო ხალხის აოცებდა თვალს.

მაგრამ რადა შორს წავიდეთ, ავიღოთ ის სოფლები ქართველების, ან თათრების, რომლებიც აქვე კოლონიის მეზობლად არის გაშენებული. რა საცოდაო, რა მწარე არიან ისინი გერმანელთა კოლონიასთან შედარებით. დაბლობებიდან თავის საკუთარ ნაგავში ჩაფლულნი, ერთი მეორეზე მიდგმული ქოხმახები, თუ მიწური სახლები, ვიწრო გამქრალი ბინები უფრო მიგავს ბუნაგს, ვიდრე ადამიანის ადამიანური წესით გაშენებულ სოფლებს. აბა სხვა მხრივ და სილამაზეზე, ან რამე კულტურაზე ყოველგვარ ლაპარაკიც ხომ ზედმეტია. ცხოვრობენ ასე საცოდავად და პირზე ნერწყვი აღგებათ, შურით გერმანელების კეთილდღეობას რომ უცქერიან.

— რატომ ხართ ასე დავიწყებული და მიუფერებელი, რატომ არ შეისწავლით და არ წაბაძავთ გერმანელებს, ეკითხები ამ სოფლების მცხოვრებთ, და ვესმის პასუხად: „რა ვქნათ, შენი ჭირიმე, შეგვეკეტე მათ ქონება ძალღებმა, რაც კი მიწები იყო სულ მაგათ ჩაიგდეს ხელში, ეგენი სულ ნასწავლი ხალხია, თავისთავად სულ მაგათ ემზადება და აბა ჩვენ რას გავხდებოდით ამ საგანი მიწის მუშაობით“. იმას კი არ იტყვიან, თუ როგორი შრომობენ ისინი, როგორი დამსახავ გა-

მთლიან სამუშაოთ ქალაქ-კაციანათ, როგორ რწყავენ და ანოყიერებენ თავიანთ მიწებს და სხ. ეხლა კითხე გლეხებს, თუ რას გაიგებენ ისინი ამავე გარემოების შესახებ: ჩვენ წყლით გვიცქერიან ექიმები, ეხარებიათ ჩვენი სიმდიდრე, იმაზედ კი არ ფიქრობენ რომ რამე მოგვცენ, რომ მეტი ნაყოფი გამოვიღოთ მიწიდან. ჩვენ რომ აქ ორმოცი ვერსიდან არხი გამოგვეყვანა, მაშინ ესენი გვეცოდინებოდნენ და სხ. ბევრი, ძალიან ბევრი რამ არის საერთო ითქვას საერთოდ ბორჩალოს მაზრის შესახებ, მარა ყოველივე ეს ამ ჟამად ძალიან შორს წაგვიყვანდა. ვიტყვი მხოლოდ, რომ ამ მაზრაში ჯერ კიდევ სრულებით არა სჩანს ნაყოფი ჩვენი საერთო კულტურული მუშაობისა. ის ჩამორჩენილი და მივიწყებული ყოველი მხრივ. არც არავითარი იდეური მუშაობა, არც რიგიანი სკოლები, არც გზები, არც საექიმო დახმარება ამ მაზრას ჯერ სათქმელათ არ ღირსებია. ბევრი, ძალიან ბევრი საქმეა გასაკეთებელი აქ და კარგი იქნება, რომ თბილისში არსებულმა სახალხო კომისიამ ცოტა უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევდეს ამ კუთხეს. მაშინ ადვილი იქნება [illegible] ამ ათასგვარ გაუგებრობას და რეგვენს, რასაც დღეს აქ ვაწყდებით სხვადასხვა პირობების წყალობით. საჭიროა ერობის შემოღებაც დაჩქარდეს, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეს მხარე იმდენათ ღარიბია მცოდნე პირებით და საერთოთ მოლაპარაკეებით, რომ პირველ ხანებში ერობაც ბევრს ვერას გააწყობს, თუ მთავრობამაც არ გაუწია ჯეროვანი დახმარება.

რ. რ—ლი.

ს.-დემ. პარტიაში

ოზურგეთი. 28 მარტს შესდგა ს. ს. დ. მ. პ. გურიის სამაზრო კომიტეტის კრება. კრებას დაესწრო 27 რაიონულ ორგანიზაციიდან 35 წევრი. აკლდა მხოლოდ ერთი რაიონის (ხიდისთავის) წარმომადგენელი.

პრეზიდიუმის სახელით მოხსენება გააკეთა ამხ. ვიქ. ღლონტმა. მოხსენებიდან ირკვევა, რომ უკანასკნელი კ-ტის კრებიდან, ე. ი. 3 იანვრიდან 28 მარტამდის პრეზიდიუმს მოუხდენია 18 მორიგი სხდომა და 3 საგანგებო. სასწრაფო სხდომები გამოიწვია ისეთ არა ჩვეულებრივ მდგომარეობამ, როგორიც იყო მაგ., ლეჩხუმის შემოსევა და ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში ჩვენი რესპუბლიკის წინააღმდეგ აჯანყების მოწყობა. მომხსენებელმა მიუთითა ჩვენი ინიციატივით ინტერპარტიულ კომისიის დაარსებაზე, რომელსაც დაევალა ხელი შეეწყო ადმინისტრაციისათვის, რათა მობილიზაცია, როგორც ჯარის-კაცების, აგრეთვე გვარდიის სწრაფათ ჩატარებულიყო. აღნიშნა ზოგიერთი რაიონის შეუფერებელი დამოკიდებულება ხელმძღვანელ ორგანოსადმი, რაიც გამოიხატა დადგენილებათა უყურადღებოთ დატოვებაში, გააცნო კრებას ის ზომები, რომელიც მიიღო პრეზიდიუმმა, რათა დროზე გაერჩია ნაფთიანების გზაზე ფოსტის გაძარცვის საქმე და აგრეთვე დაენიშნა საგანგებო წესით გამოძიება ბახვის ეკლესიის გაძარცვის შესახებ.

ამის შემდეგ თავმჯდომარე შეეხო მოკლეთ დღევანდელ საერთო მდგომარეობას, მიუთითა საშიშარ მოვლენებზე, როგორიცაა ძარცვა-გლეჯა და სხვა, აგრეთვე ხალხის მავნე ილუზიაზე, რომ რადგანაც დამფ. კრება უკვე შეიკრიბა,—ამით ყველაფერი კარგათ მოეწყობა, ის (დამფ. კრება) ყველაფერს გააკეთებსო და სხვა. საჭიროა, კარგათ გავაგებინოთ ხალხს, ამბობს მომხსენებელი, რომ თუ ის თვითონ არ ამოუდგა დამფუძნებელ კრებას, ისე არაფერი არ გაკეთდება. ჩვენ ორგანიზაციებში მუშაობის გაძლიერება, ყოველ დღიურ მოვლენათა მიზეზების ხალხისათვის გარკვევა და მოქმედების შეფარდება, აი რაში გამოიხატება ჩვენი ხსნა, დაამთავრა თავისი სიტყვა მომხსენებელმა.

შემდეგ კრებამ მოისმინა მოხსენებები ადგილებიდან. გამოირკვა, რომ გურიის 28 რაიონში პარტიის წევრთა რიცხვი უდრის 9040-ს. ამავე წლის 1 იანვრის კი ითვლებოდა 8227 წევრი. ამგვარათ 3 თვის განმავლობაში ეს რიცხვი გადიდებულა 800-ით. უფრო ინტენსიური პარტიული მუშაობა ეწყობა ხვარბეთის, მაკვანეთის, შემოქმედის და სუფსის რაიონებს, რაც გამოიხატა მობილიზაციის წარმატებით ჩატარებაში, საერთოთ წესრიგის დაცვაში, საარჩ. ფონდისა და საწევრო ფულების თავის დროზე აკრეფაში და სხვა. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ძალიან ბევრი ამხანაგები ფონდის ფულის მოგროვების საქმეში არ დაიცვეს საერთო წესი, რომ ფული შეგროვებიათ ყველაფრით და არ მიუტანიათ მისთვის საკუთრივ სხვადასხვა ხასიათით. კრებამ მიუთითა ამისთვის კოლექტივებს ამ შეცდომაზე.

გამოტანილ იქნა შემდეგი დადგენილებანი: 1) ახალი არჩევნები პარტიულ ორგანიზაციებში დამთავრდეს ერთი თვის განმავლობაში; 2) მიუხედავად იმისა, რომ ზოგი რაიონი მოითხოვს საწევრო გადასახადის 50 კ.-მდე შემცირებას, კრებამ დიდი ხნის უმეტესობით საჭიროთ აღიარა დარჩეს ძალაში ძველი გადაწყვეტილება, ე. ი. თვეურათ თითო მანეთი; 3) გამოცხადდეს გურიის ბნელის აღსანიშნავათ წლის თავზე, ე. ი. 10 აპრილს მოეწყოს სამგლოვიარო მანიფესტაცია, რის ინიციატივაც თავის თავზე უნდა აიღოს ერობის გამგეობამ, რომელსაც დახმარებას გაუწევს ამ საქმეში ყველა პარტიული კომისია; 4) კრებამ მოუწოდოს რაიონულ ორგანიზაციებს ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ მთავრობას ჩვენი რესპუბლიკის ბ პროექტების განხორციელების საქმეში. თუ რაში უნდა გამოიხატოს ეს დახმარება, ამას გამოარკვევს დაგვალე კოლექტივებს ადგილობრივი პირობების მიხედვით; 5) კრებამ ადგილობრივ ორგანიზაციებს მიიწვიოს ნიმუშად შეინ წილდობა მიიღონ რეფორმის ცხოვრებაში გატარების საქმეში. ხელი შეეწყოს სამხარო ორგანოს სარეკონო კომისიების შექმნაზე, რათა ამ კომისიებში არჩეულ იქნენ საიმედო და გამოცდილი პირები; 6) მიეცეს ახალშენის ორგანიზაციას რაიონულ კოლექტივისა და კომიტეტში საკუთარი წარმომადგენლის ყოლის უფლება; 7) წინადადება მიეცეს ადგილობრივ მთავრობის მიერ საჯარო ზომები გურიის საზღვრებიდან იარაღის გაზიდვის წინააღმდეგ. აგრეთვე წინადადება მიეცეს ერობის გამგეობას სიმინდის გაზიდვის შესახებ. ადგილობრივი ორგანიზაციები დახმარებას უნდა უწევდნენ მთავრობას ამგვარ საქმეში; 8) ამ ნაკლის აღნიშვნის ადმინისტრაციისა და სამილიციო-საგამოძიებლო ნაწილის სისუსტეს, თავიანთ მოვალეობათა ასრულების საქმეში, რაიც ხდება ანარქიის უმთავრეს მიზეზად და ერობის გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგ ვლადიმერ ცაგარელის განმარტების შემდეგ ადგენს: ეთხოვოს ერობას, რაც შეიძლება სასწრაფოთ გატარდეს ცხოვრებაში კანონი მილიციის ადმინისტრაციის შექმნისა და სასამართლოს შესახებ. წვრილი ერთეულების შექმნაზე კი უნდა დაევალოს ადმინისტრ. კომიტეტებს გაცხოველებული მუშაობა. ამგვარივე წინადადება ეძლევა ერობის ფრაქციას ს.-დ. ფრაქციას და ეჭვის ს.-დ. კოლექტივს. 9) ამხ. ვიქ. ხეცაძის საქმეზე არჩეულ კომისიის ცნობება ერთი თვის ვადაში დაამთავროს გამოძიება. 10) ახვანის კოლექტივისა და ვიქ. ნინიძის შორის ჩამოვარდნილ უთანხმოების მიზეზთა გამოსარკვევათ შესდგეს პარტიული სასამართლო, რომელსაც თავმჯდომარეს დაუნიშნავს კ-ტის პრეზიდიუმი.

მუქარის საქმეზე პარტიულ სასამართლოს თავმჯდომარეთ კრებამ აირჩია ამხ. დოიძილ ვაშალომიძე.

საკანდიდატო კომისიაში ივ. კილაძის მაგიერ არჩეულ იქნა ამხ. მ. საბაშვილი. 11) თავმჯდომარემ გააცნო კრებას, რომ პრეზიდიუმმა აირჩია კომისია, რომელსაც დაევალა ერობის გამგეობის თავმჯდომარისა და ერთი წევრის ადგილებზე საკანდიდატო პირთა გამოძებნა. რადგანაც კომისიამ ვერ მიაგნო ერთ დასკვნამდის, ამიტომ საჭიროა ლარმა ამ კითხვის გადმოტანა კომიტეტის კრებაზედ და წინადადება მისცა კრებას დაესახელებინა საკანდიდატო პირები; ამხ. ს. მუჯირიშვილი თავმჯდომარის ადგილზე ასახელებს ვიქ. ღლონტს, რასაც ტაშის ცემით შეხვდნენ, დასახელებულ იქნენ აგრეთვე ვლ. ცაგარელი, არს. წითლიძე, აფ. ცინცაძე, გ. შალამბერიძე და სხვები. კრებამ აირჩია ხუთი კაცისაგან კომისია, რომელსაც დაევალა პრეზიდიუმთან ერთად აღნიშნულ კანდიდატებში ამოარჩიოს უფრო შესაფერი პირები და წარუდგინოს ერობის ს.-დ. ფრაქციას ასარჩევათ.

კომიტ. მდივანი მ. რამიშვილი.

მუშათა შორის

თბილისი. საქართველო - სომხეთის სახელმწიფო სახაზინო გზა-ტკეცილის პირველი უბნის მუშა მოსამსახურენი. მათი არავითარ დარგის მუშები ისე ჩამორჩენილები არ არიან პოლიტიკურათ და ეკონომიურათ, როგორიც ამ დარგის მუშა მოსამსახურენი. არსებობს ამ დარგის მოსამსახურეთა კავშირი, რომელიც ცდილობს გაუმჯობესების მოსამსახურეთა მდგომარეობა.

1918 წლის 15 აგვისტოს უნდა გამოეცხადებინა მოსამსახურეთა გაფიცვა, რადგანაც შრომის პირობები მეტად აუტანელი იყო და ხელფასი კი არაჩვეულებრივ მეტად მცირე. გზა-ტკეცილის პირველი უბნის მუშები თითო თვეში ჯამაგირს იღებდნენ 180 მანეთს. გზის ოსტატი („დორიჟნი მასტერი“) 300 მანეთს. მეზღვარე იღებს თვეში 358 მან. 88 კ. მაგრამ ეს ვერ გამოკვებავს, რადგან გზა-ტკეცილთა სამმართველოს უფროსი ბ. თუმანოვი დაგვპირდა პირველ აგვისტოდან 1918 წლის მომატებას, მაგრამ რას ვხედავთ? ფაბალ მუშა-მოსამსახურეებს მოუმატეს თითოს 120 მ. თვეში. არ მოუმატა არც გზის ოსტატებს, არც მეშიკნებს, არც ტეხნიკს. თუმანოვი გადავიდა სამსახურიდან და მის ადგილას დაინიშნა ბ. დოლიძე.

დარგის კავშირმა მიაქცია ყურადღება ყველა მუშა-მოსამსახურის გაჭირვებას, აღძრა კითხვა ჯამაგირების მომატებისა. მშვიდობიანი გზით საქმე ვერ მოგვარდა და კავშირი იძულებული შეიქნა გამოეცხადებინა პირველ აპრილს 1919 წელს მუშა-მოსამსახურეთა გაფიცვა. გაფიცვა იქნა მოხსნილი, რადგან მთავრობამ დაგვპირდა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. საჭიროა ჯამაგირების მომატება არა მარტო წესიერათ. ზოგიერთი მუშა მოსამსახურეზე არ გავრცელდა მომატება. ასეთ ისეთები დასტურდება [illegible], ვისაც ეს ფაქტი წელიწადში არაფერი მომატებია. საჭიროა მიექცეს ყურადღება ამ გარემოებას, რომ გზა-ტკეცილის არაერთი დარგის მუშები საკმაო ჯამაგირს არ იღებდნენ და მომატებაც ყველა დარგის მუშებზე უნდა გავრცელებულიყო. საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს საერთო დარგთა კავშირის გამგეობამ.

ოსებ ნიკოს ძე ყოლაშვილი.

სამტრედის რკინის გზის მუშებში. სამტრედიის რაიონის რკინის გზის კოოპერატივისთვის შეძენილი ჰქონდა ფქვილი, რკინის გზ. მოსამსახურეთათვის გასანაწილებლათ. ეს საკითხი სამტრედიის რაიონის სხვადასხვა კუთხის მომუშავეებში ერთგვარ უსიამოვნებას იწვევს. სამტრედიის ადგილობრივ საქმეთა შეუწუხებიათ, რომ პურის ფქვილი მუშებს არ ეძლევათ. სამტრედიის მთელი რაიონის მუშა მოსამსახურეებმა უნდა მიიღონ გამომცხვარი პური თავიანთ წილ-ხვედრით. მაგ. სამტრედიაში მაგალითათ, მუშები არიან დაშორებული სამტრედიაზე ხუთი-ექვსი რკინის გზის სადგურით. ამიტომ ამ გადაწყვეტილების მიღება ყოვლად შეუძლებელია. როგორ უნდა იარონ ასე დაშორებულმა მუშებმა სამტრედიაში, ყოველდღე და იქ ჩადგნენ რიგში მთელი დღის განმავლობაში თავის წილ პურზე? პურის მიღებისთვის რომ მუშებმა ყველა სადგურებიდან სამტრედიაში იარონ, რამდენი მუშა უნდა მოიცდინოს დღეში მთელ რაიონში? ამით რამდენი ზარალი მოუვა რკინის გზას. საჭიროა მუშა მოსამსახურეთათვის შექმნილ იქნეს სურსათის დანაწილება ისე, როგორც მუშებს ეხერხებოდათ. ამიტომ მოითხოვენ მუშები საერთოდ პურის ფქვილად დანაწილებას.

იაკო გიორგაძე.

პროვინცია

ხაშური. ვაჟთა გიმნაზიის მზრუნველთა წრის კომიტეტის სახელით უღრმეს მადლობას უცხადებს ამავე კომიტეტის სამეურ წევრებს: მ. დაბრუნდაშვილს, ალ. ალექსიშვილს და ი. სულავაშვილს, რომლებმაც მიიღეს შრომა და შეკრიბეს თავიანთ ამხანაგ-ნაცნობთა შორის 3790 მ. ადგილობრივ გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოთ. აგრეთვე კომიტეტი მადლობას უძღვნის ხაშურის ყველა მოქალაქეთ, ვინც ყურადღებით მოეკიდა ამ საქმეს და ამავე მიზნით არ დაიშურეს და გაიღეს თავისი წვლილი, რითაც შეადგინა 2943 მან. სულ 6733 მან. 72 კაპ. შემომწირველნი ასი მანეთი: მ. დაბრუნდაშვილი, ს. ალექსიშვილი, ფ. მოჩხოლიძე. ნ. გოგიძე, ი. მოწონელიძე, ლ. გვინცაძე, ტ. ჭყოსელიძე, ს. ქვრივიძე, ლ. ქიტიაშვილი. 60 მანეთი: ვ. გელაშვილი. 5 მანეთი: ი. სულავაშვილი, ს. მანჯავიძე, ნ. თოხაძე, ი. ძნელაძე, გ. ნიკოლეიშვილი, მ. ჩესიძეიშვილი, თ. რამიშვილი, ი. ცაცხლაძე, ნ. ანასტასიადი, ს. ტერ-პეტროსოვი, პ. ლაზარიოვი, ლ. ივანიწოვი, ნ. ტერიომ დიი, თ. პეტრივოვი, ი. გბილაძე, ა. ლილოვი, ლ. მელიქბეკოვი, ა. ჩიტიაშვილი, ი. ქვათელაძე, მ. თურმანიძე, ნინო მაჭავარიანისა. თვითოეულ მანეთი: არტემოვი. ოცდა ათი მანეთი: ა. ზარტოშვილი, შ. ქიტიაშვილი, ი. ჩქოიძე, ი. მანჯავიძე, გ. ცხოვრებაშვილი, მ. მანჩავიძე, სტეფანოვი, ჩოლოქაშვილი, მ. ჯიშკარიანი ს. ლორთქიფანიძე, ა. არჩვაძე, ს. მერკვილაძე. ოცდა ხუთი მანეთი: ი. პაპავა, კ. ყუფუნიძე, ლ. ალექსიშვილი, ს. ტერ-ზაქარიოვი, ი. მარუაშვილი, კ. ტაბატაძე, ს. ტაბატაძე, ი. გოგოლაძე, ი. ნოზაძე, ა. ქარსელაძე, ლ. მეფარიშვილი. 20 მ.: ს. ქიტიაშვილი, ნ. ჯიჯიშვილი, ა. ხარჯილაძე, ა. ჯაჭვაძე, გ. რამიშვილი, ა. ხაფიაშვილი, ა. მითაძე, გ. მიტაშვილი, ს. ტერ-ცოტოვი, ლ. მამაღლოვი, ს. ამანსიძე, კ. შაშინაშვილი, ნ. ქვათელაძე, ლ. მამისურაძე, მ. სარაძე, ივ. მარმა-ლადოვი, ა. დეკანოიძე, ა. ჩიქოვანი, გ. ტორაძე, შ. ყარამანიშვილი, ლ. ქიტიაშვილი, ი. მაცხონაშვილი, გ. ჯაფარაშვილი. თხუთმეტ-თხუთმეტი მანეთი: თ. ჭყოსელიძე, ი. მიხაილოვი, ბ. აგამოვი, გ. ქიტიაშვილი, ქ. შაპოვალოვი, ა. რამაზოვი, გ. მახარაშვილი, კ. ჯაფარაშვილი. თერთმეტი მანეთი: გ. ალიბეგაშვილი. ათ ათი მანეთი: ი. კაკაბაძე, ი. ჯაფარაშვილი, ლ. პოგოსოვი, ს. დათუნოვი, ა. აბპოტოვი, თ. ჯოხაძე, გ. გოძელიშვილი, ლ. გიორგაძე, ვ. ხვედელიძე, ს. ძნელაძე, მ. მანასოვი, ლ. აბაიძე, ლ. დარჩიკაშვილი, გ. ტერ გუქასოვი, მ. სიხუაძე, გ. ლუღელაძე, ი. აბელკიანი, ს. კურტანიძე, ა. ლიზმაროვი, კ. კორდასელი, ა. კაზუმოვი, ს. ხაჩიკოვი, გ. ჩიკვაიძე, ს. მაჭარაშვილი, ა. გოჩაშვილი, ი. ციცქიშვილი, მ. კუპრიძე, გ. ქიტიაშვილი, ი. ცაცქიშვილი, მ. კუპრიძე, გ. ოსიაძე, ქ. მარკოზოვი, ქ. გოძელიშვილი, ლ. რაზმაძე, ნ. ბასილაშვილი, ა. რუსიძე. ექვსი მანეთი: ბ. მატროსოვი. ხუთი მანეთი: მ. ლაბაძე, ლ. ჯოჯიშვილი, კ. ლაბაძე, ვ. სამხარაძე, ვ. ნიკოლაიშვილი, პ. ქიმერიძე, გ. კალანდაძე, მ. მელიქოვი, მ. ჭყოსელიძე, ს. პეხაშვილი, მ. თოფურიანცი, ბ. ათოროვი, გ. ჩერქეზოვი, ი. სიმონოვოვი, გ. გოლოვოვი, გ. ქუთათელაძე, პ. პაჩოლიძე, გ. ლომბარიძე. სამი მანეთი: თ. აბაშიშვილი. ორმანეთი ნახევარი: მ. ცხოვრებაშვილი და ი. ფოლადიშვილი.

ხაშურის ვაჟთა გიმნაზიის მზრუნველთა წრის კომიტეტის თავმჯდომარე გ. შარაშიძე. მდივანი ნ. სახარულიძე.

წერილი რედ. მიმართ

„ერთობის“ მარტის 25 ნომერში (67) მოთავსებული მასწავლებლის წერილი შემდეგი სათაურით: „რკინის გზის—კონტროლიორის თავი მატარებელში“.

ეს წერილი თავიდან ბოლომდის სიმართლეს მოკლებულია, რომ ეს ასეა, ამას დაინახავს მკითხველი: 22—23 სექტემბერს 1918 წ. და არა 29 ენკენისთვეს, როგორც შეცდომით სწერს მასწავლებელი, თელავ-ცივის მატარებელში № 3, მე გასინჯული კონტროლიორის მოვალეობას და როგორც ნაჩრათ სხვა დროს, ისე ამ მგზავრობის დროსაც, მოვალეობა აღვასრულე უბადლოთ.

ამასთანავე „ზიარეზესა“ ან იქვე ვამბ. დევ ნებით ფულს, და, რასაკვირველია, სათანადო ბარათსაც ვაძლევდი და თუ გაჯ უქონლობით ვერ, ვაძლევდი ბახლოვის სადგურში. ამ მგზავრობის დროის ჩემთან ერთად ასრულებდნენ სამსახურის მოვალეობას გვარდიელები დეკანოზი, ხაჩუა და სხვ.

თუ ლისიდან გასვლ მატარებელში, წარმოიდგინეთ აღმოჩნდა 85 უბილეთო მგზავრი, რომელთაც მეცხოთის სადგურში წარუდგინეს ბარათით № 1934 გადახდით 157 მან. 50 კაპ. მეცხოთის შემდეგ აღმოჩნდა კიდევ 4 უბილეთო მგზავრი და მათ შორის ეს მასწავლებელიც, რომელთაც წარუდგინა ბარათით № 1935 გადახდით 93 მან. 60 კაპ. ასეთი მგზავრები ყოველ სადგურის შემდეგ მრავლდებოდნენ, ისე რომ, ჩემის ფოთაძის მიგელითაც, მათი რიცხვი აღწევდა 200 სულამდე, რომელთაც გადახდევინებდი 3 000 მანეთამდე, როგორც ამ უბილეთო მასწავლებელის წინადადება მოეცვა გადაეხადა ჩვეული ბილეთის ფული, მან ჩემი თხოვნის ასრულების მაგივრ მგზავრებში დაიწყო აგიტაცია, ყოველგვარ მოიხსენია მთავრობა და მისი წარმომადგენლები, უსამართლოთ მიიჩნია ფულის მოთხოვნა, თუმცა თითონაც კარგა ხედავდა და ყველა მგზავრებიც და ჩემთან ერთად სამსახურის ასრულებელი გვარდიელებიც დაინახავდნენ, რომ ფულის გადახდევინების საქმე ვაძლევდი სათანადო ბარათს.

მართალია, როგორც ეტყობა, მასწავლებელი მიეზგნარებოდა გზაში (ხშირათ თურმე მგზავრობს გზაში), მაგრამ ესეც რომ არ ყოფილიყო, მას ასეთი სიჯიუტის გამო მაინც მოუწოდებდა არაფრით ასეთი შესაძლო ოქმის შედგენათ (იქმის შედგენა აღარ შეიქმნა საჭირო, რადგან ძალაუფლებაში გადაიხადა საჭირო გადასახადი) უბილეთოთაც აღარ მოიხსენა მგზავრის გაჩერებულა და გადაიხადა ფული სადგურში, რასაც დაამტკიცებენ სადგურის მოსამსახურეები და სადგურის მოლაპარაკეები.

როგორც დაინახავთ, მე არავითარი უკანონობა არ ჩამიდენია და მგონია ეს თვითონ მასწავლებელმაც კარგათ უნდა იცოდნოდა.

რომ მე ვიცი ჩემი მოვალეობა და ზოგის გასინჯვის ასრულება, ამას დაამტკიცებს ჩემი 16 წლის ნამსახურობა და ყველა ჩემი ყოფილი თუ ახლანდელი უფროსები და ამხანაგები.

გიორგი გოგოლაძე.

განცხადებანი

იყიდება სახლი

2 ოთახით, ფურნით და 95 კვად. საჟენი მიწით, იკითხეთ: მიხეილის ქ. № 181. მეკერავე გოგაძე. (2—1)

მჟავე კომბოსტო.

საქ. სახაზინო რკინის გზების სასურსათო კომიტეტი ჰყიდის მჟავე კომბოსტოს

ფუთს 60 მანეთად.

მისამართი: საქალაქო სადგური, თბილისი, საწყობი № 14. (3—2)

საჭიროა ძიძა

მაროშები კარგი, მოუველი შეუძლიათ მიმართონ სასტუმრო „ალექსანდროვსკი“, სამხედრო ქ. № 5, ყოველ დღის. (2—2)

იყიდება სახლი

9 ოთახით, 2 დუქანი, 2 ბოსელი და 105 კვად. საჟენი მიწა. იკითხეთ ანდრიევის ქ. № 116. სახლის პატრონი ემ. ჯიბუა. (2—2)

გაიხსნა

პირველი სამკურნალო

მუდმივი საწოლებით

მიიღება ყოველგვარი სნეულებიანი ავადმყოფები.

მიხეილის პრ. № 141 (კინემატოგრაფ „ამპირის“ გვერდით) ტელეფონი 5—97. ავადმყოფების მიღება სპეციალისტ ექიმებისაგან ყოველ დღე დილის 9 საათ. საღამოს 7 საათამდე. ოპერაცია, კონსულტაცია „914“ და „606“ შეშხაპუნება, მასაჟი, ყოველის აგრე. სტაციონარული ავადმყოფები მიიღებიან სრულ პანსიონით.

გაიხსნა თვალის სამკურნალო (მუდმივი საწოლებით)

ექიმი დონხინისა

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 საათ. საათამდე მიხეილის პროსპექტი № 141, (კინემატოგრაფ „ამპირის“ ახლო). მძიმე ავადმყოფები და საოპერაციოები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელ. 5—97.

მედიცინის დოქტორი
ბერლინის უნივერსიტეტისა

გ. გ. მეგრაბიანცი

შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით ფილტვის სნეულებათა და არტერიული წნევით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. დიათერმიის წამლობა. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 28, ტელეფ. 7—82.

ექიმი

ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი

კიროჩნის ქ. № 49, ანდრეევის ქუჩის კუთხე. ვენერიულ სნეულებათა სპეციალისტი (ძველი და ქრონიკული სუსუნეტი) სიფილისი და მისი შედეგები, კანის ავადმყოფობანი, „606“ და „914“ შეშხაპუნება. მამაკაც ავადმყოფების მიღება დილის 10—12 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე.

ექიმი

ა. მ. პაატაშვილი

იღებს ბავშვთა შინაგან და სნეულებიან ავადმყოფებს ყოველდღე, გარდა შაბათისა, საღამოს 5—7 საათ. გუნიბის ქ., № 43.

ექიმი

ქეკელია

იღებს ვენერიულ სნეულებიან ავადმყოფებს (914, 606 შეშხაპუნება) მიღება დილის 10—11 ს. საღამოს 4—6 საათ. მისამართი: მიხეილის პრ. № 116 სასტუმრო „მარი“ პირდაპირ. ტელ. 14—38.

დოქტორი

მ. გოლდშტეინი

ყოფილი ასისტენტი ბარონ როტშილდის მთავარი ჰოსპიტლისა და ვენის უნივერსიტეტის კლინიკისა.

თვალის ავადმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება 10—1 საათამდე და 4—7 საათამდე. ნიკოლოზის ქუჩა, № 32.

ექიმი

ნ. ლ. ცურიაშვილი

მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა იღებს ყოველ დღე შინაგან, ბავშვთა და ქალურ სნეულებიან ავადმყოფთ დილით 12—2 საათ. ნიკოლოზის ქ. № 7 სიმონოვის აფთიაქის გვერდით.

სამკურნალო კაბინეტი ექიმი

პ. ნ. გოგიტიძისა

ყოფ. ორდინატორი ვენერ. კლინიკისა სამხ. სამედ. აკადემიისა პეტროგრადში. ვენერიული, კანის, სიფილ. შარდის და სასქესო ორგანოთა სნეულებანი. „606“ და „914“ შეშხაპუნება. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, კვირა და უქმე დღეების გარდა, საღამოს 4—6 საათამდის. კახეთის ქუჩა, № 11.

ექიმი

მ. ფ. მგალობლიშვილი

ქალისა და საშარდო ორგანოთა ავადმყოფობის მიღება ყოველდღე საღ. 5—7 საათ. ელბაქიძის ქ. № 41, ტელ. 9—58.

ექიმი

ლ. ი. ცაგარელი

შინაგანი სნეულებანი. იღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათ. ბესიკის ქუჩა, № 9.

ექიმი ა. ა. ზურაბაშვილი.

სპეციალური სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე, კვირაობით დილიდან [illegible] მისამ: ოლღინის ქ. № 38.

ექიმი

ბესარიონი პოპოვი

შინაგანი სნეულებიანი ყელის, ყურის და ცხვირის ავადმყოფებს. მიღება დილ. 11—12 საათ. და საღ. 5—7 საათამდე. მიხეილის პრ. № 117, ტელ. 18—27.

ექიმი ქალი

რ. ბ. შიოლ-საგაშვილი

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ყოფილი ბერლინის მედიკურ ქირურგიულ კლინიკისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და ბავშვთა სნეულებით დაავადებულებს. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 საათ. მიხეილის პრ., № 119, ტელეფონი № 9—26.

ექ. დ. ი. ჯაფარიძე

იღებს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებათა ავადმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ., საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მადათოვის ქ. № 7 ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ ტელეფონი 16—65.

მედიცინის დოქტორი

ალ. გ. მაჭავარიანი.

იღებს საელექტროთ ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათ. კვირაობის გარდა. მიხეილის ქუჩა სახლი ადამოვისა № 111. (მე-2 ეზოდან) ტელეფ. № 49.

ექიმი

დ. ვ. ჯავახიშვილი

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე საღ. 4—6 საათამდე. გარდა კვირა, გუნიბის ქ., № 41, ტელ. № 14—90.

თბილისის მაზრის ერობის გამგეობა

იწვევს მასწავლებლებს მაზრაში რაიონის და სოფლის კომისარიატებში ქართულ ენის მცოდნე პირთ მდივნებათ. თვიური ჯამაგირი ექნებათ 600 მან., რაიონებში 500 მან. სოფლის სამმართველოებში.

მსურველნი გამოცხადდნენ მაზრის ერობაში იურიდიულ განყოფილებაში (გოლოვინის პრ. № 6). (2—1)

საგარეო და სამრეწველო მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირთან არსებული

კოოპერატიული სექციის ბიურო

აცნობებს ქალ. თბილისის კოოპერატიულ მოსამსახურეთა, რომ კვირას, 27 აპრილს, დილის 10 საათზე მუშათა კლუბის შენობაში, პლეხანოვის პროსპექტზე № 65, (ძველი მიხაილოვის პრ.) შედგება გაფართოებული ქალ. თბილისის საგარეო და სამრეწველო მოსამსახურეთა

წლიური საერთო კრებისა

სადაც მოხსენება იქნება გამგეობის, სარევიზიო კომისიისა და პროფესიონალური კავშირის საბჭოს წევრების. კოოპერ. სექციის ბიურო დამსწრეთ თხოვს ყველა ამხანაგებს დროზე აღნიშნულ კრებას დაესწროს ყველა არჩევნების დასრულებამდე.

კოოპერატ. სექციის ბიურო. (1—1)

[illegible]